რუსები "ლოკომოტივის" ჩაბნელებას ჩუბაისს "აბრალებენ" A2

"კავკასიური ოთხეული" თბილისში A3

მოსკოვმა უარი თქვა აფხაზ და ოს „უკანონო შვილებზე„ A3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 13 ოქტომბერი, 2002 წელი. №133

ფასი 50 თეთრი

# წართმეული ბავშვობა და წართმეული ფეხბურთი

## გაწბილებულმა ხალხმა პრეზიდენტის კორტეჟი სტადიონიდან ლანძღვა-გინებით გააცილა



გოჩიტა ბახაიძის ფოტო

დიმიტრი ობოლაძე

ის,რაც გუშინ ლოკომოტივის სტადიონზე მოხდა, უბრალოდ, სირცხვილია. რუსეთისა და საქართველოს ნაკრებების შეხვედრას მთელი საქართველო ელოდა. ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ემოციები, ბილეთებში გადახდილი, ბევრის მიერ სპეციალურად ამ დღისათვის დაზოგილი თანხა, და იმედი. იმედი იმისა, რომ საქართველოს ნაკრები რუსეთისას მოუგებდა. ელექტროენერგია პირველად 43-ე წუთზე გამოირთო და სამ წუთში ჩაირთო. უკანასკნელად კი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გამოირთო. 20 ათასამდე მაყურებელი სრულ სიბნელეში დარჩა. ვინც სტადიონზე არ ყოფილა, იმ სიტუაციას ვერ წარმოიდგენს. საოცარია, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი შედარებით მშვიდად შეხვდა ლოკომოტივის "მზის დაბნელებას". წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლებოდა, პანიკაც დაწყებულიყო და მასიური ჭყლეტაც მომხდარიყო. ჩაბნელებული სტადიონის ფონზე ცაში თვითმფრინავი გამოჩნდა, რამაც ძალიან შეაშინა ტრიბუნაზე მყოფი მაყურებელი. თვითმფრინავი სამოქალაქო აღმოჩნდა. შემდეგ საქმეში ძალოვანი სტრუქტურები ჩაერთნენ. დაიკეტა სტადიონის სექტორებში შემავალი ყველა კარი და, დაახლოებით, ნახევარი საათის განმავლობაში ლოკომოტივზე შემდეგი პრინციპი მოქმედებდა: არც შიგნით უშვებდნენ ვინმეს და არც გარეთ. ცოტა ხნით სტადიონი ციხედ გადაიქცა. რაც შეეხება მიზეზებს: პირველადი ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ დაიწვა ტრანსფორმატორი (თუ სტაბილიზატორი). ჩართვისთანავე მწყობრიდან გამოვიდა სათადარიგო გენერატორი (მიზეზად დაასახელეს ის, რომ ზეთი დააკლდა, რაც სასაცილოა). დაზიანებული ელექტროგამანაწილებელი ჯიხური საკუთარი თვალით ვნახეთ, თუმცა, ცეცხლი მას არ ეკიდა. ძალიან საინტერესოა გულშემატკივრის რეაქცია. მოსალოდნელ რბევას და ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ხალხი გაოგნებული იყო იმით, რომ ეს ინციდენტი სწორედ გუშინ, რუსეთისა და საქართველოს შეხვედრის დროს მოხდა. სტადიონის კარებთან ატირებული, 15-16 წლის ახალგაზრდაც იდგა. მისი სიტყვები, დაახლოებით, წართმეულ ბავშვობას და წართმეულ ფეხბურთს ეხებოდა. იყო უფრო აგრესიულად განწყობილ გულშემატკივართა ჯგუფი, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის შენობასთან ელოდა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების გამოჩენას. ესკორტი უდიდესი სისწრაფით გაუჩინარდა და თან გულშემატკივრის ლანძღვა-გინება გაიყოლა.

აღსანიშნავია ერთი რამ. უკანასკნელ პერიოდში გუშინდელი მატჩი გამონაკლისი გამოდგა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობამ ბოლომდე იბრძოლა, მოინდომა და პირველ ტაიმში ტოლი არ დაუდო რუსებს. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ფეხბურთელები, ჩივაძე და ფედერაცია კრიტიკას არ იმსახურებენ. ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაყურებელი - სხვათა შორის, პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში - ამღერდა, ტრიბუნებზე იყო ქართული დროშები და ქართული სულისკვეთება. შეიძლებოდა, გუშინდელი მატჩი ქართული ფეხბურთის სასიკეთო გარდატეხის დღედ ქცეულიყო. ცალკეული პირების, სტადიონის ხელმძღვანელობის უნიათობით კი სერიოზული პრობლემების წინაშე დავდექით. პრობლემების წინაშე დადგა ფეხბურთის ფედერაცია, რომელმაც მატჩის ნორმალურად ჩატარებისათვის ბევრი რამ გააკეთა. და ბოლოს, კომპეტენტური და ნაკლებად კომპეტენტური პირების კომენტარები. **აკაკი ჩხაიძე(**რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე):" მე რა ვიცი, რა ხდება. არაფერი არ ხდება." ეს არის პასუხი უბრალო შეკითხვაზე - "რა ხდება?" . ენერგეტიკის მინისტრმა, დავით მირცხულავამ საერთოდ ვერაფერი თქვა. ადმინისტრაციული პოლიციის შეფმა, ცნობილმა ქართველმა სპორტსმენმა მიხეილ სალაძემ კი ნამდვილად პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა. " ჩემი საქმე უსაფრთხოება და წესრიგია. ამ მხრივ კი ყველაფერი რიგზეა. ელექტროენერგია ჩემს კომპეტენციაში არ შედის." მართლაც, არანაირი პრობლემა არ შექმნილა, სტადიონზე მაყურებელი თავისუფლად შევიდა, მცირე "დაპატიმრების" შემდეგ კი მშვიდად გამოვიდა. და ბოლოს, რა ელის ქართულ ფეხბურთს? ამ სიტუაციაში მაყურებელთან ერთად ყველაზე მეტად ფეხბურთის ფედერაცია დაზარალდება. სანქციები იქნება. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ფედერაციას რუსეთის მხარისათვის გარკვეული კომპენსაციის გადახდა მოუწევს. ვიცე-პრეზიდენტის, რომან შოთაძის ინფორმაციით კომისარმა ოქმში დაწერა, რომ ელექტროენერგია გაითიშა (რაც ნამდვილად სიმართლეა). "საბოლოო გადაწყვეტილება უეფა-მ უნდა მიიღოს,- განაცხადა შოთაძემ "24 საათთან" საუბრისას,- შეიძლება, წაგებაც ჩაგვითვალონ. სტადიონს დისკვალიფიკაცია ელის, ჩვენ კი - დიდი ფულადი ჯარიმები. ძალიან არასასიამოვნო ფაქტი მოხდა. ყველაფერს უახლოეს დღეებში გავარკვევთ." და ბოლო სიტყვა კვლავ გულშემატკივარს, რომელიც ხშირად მართალია. ყოველი მეორე, რომელსაც ვესაუბრე, ეჭვებს გამოთქვამდა - ხომ არ არის ყოველივე ეს ქართული ფეხბურთის წინააღმდეგ მიმართული დივერსია. ეს გულშემატკივრის აზრია. ფეხბურთის ფედერაციას კი კიდევ ერთი, არანაკლებ სერიოზული პრობლემა აქვს - ხალხმა ბილეთები შეიძინა, რისთვისაც სოლიდური თანხა დახარჯა. ლოკომოტივზე მომხდარის გამო პასუხისმგებელი სწორედ ფედერაციაა. თუ თამაში ისევ საქართველოში გაიმართება, რუსეთის ნაკრების და დელეგაციის სრულ ხარჯებს ფედერაცია გაიღებს. ძველი ბილეთები აქაც იმოქმედებს. მაგრამ, რა უნდა გააკეთოს ფედერაციამ, თუ უეფა ამ შეხვედრის გამართვას ნეიტრალურ სტადიონზე ბრძანებს. ამაზე პასუხი დღეს არ არსებობს. ხვალ მორაგბეები ქართველების ხასიათზე მოყვანას შეეცდებიან. ამასობაში კი გუშინდელი მატჩის საკითხიც გაირკვევა.

## ამ ქვეყანაში აღარაფერი არ უნდა გიკვირდეს

თამარ ხორბალაძე

*გუშინ ქართველ ფეხბურთელებს არ წაუგიათ.*

*გუშინ საქართველოს ხელისუფლებამ წააგო.*

*თავს ვერ ვიმართლებთ, ეს უკვე სპორტი, ანუ თამაში ნამდვილად აღარ იყო...*

*რუსეთს გუშინ საქართველოს ხელისუფლებამ მისცა შანსი, რომ ხელი გაეშვირა და ეთქვა - შეხედეთ, ეს ის ქვეყანა და იმ ქვეყნის ხელისუფლებაა, რომელიც პანკისს და საზღვარს კი არა, თბილისის ცენტრს ვერ აკონტროლებს და ფეხბურთის მატჩის ჩატარებას ვერ უზრუნველყოფს.*

ეს აზრი გუშინ რუსი ჟურნალისტების გამოსვლებში აშკარად ჩანდა.

გუშინ რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა ჩვენს სირცხვილს სპეციალური გადაცემები მიუძღვნეს და შეეცადნენ ასეთი (ყოველ შემთხვევაში, რუსეთ-საქართველოს საფეხბურთო გამოცდილებაში) უპრეცედენტო შემთხვევა ისევ პოლიტიკური გაუგებრობისთვის და შესაძლო დივერსიისთვის, წინასწარი გეგმისთვის ან ხელისუფლების უსუსურობისთვის მიეწერათ.

რუსეთი განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს იმას, რომ ეს ფაქტი ქალაქის ცენტრში მოხდა.

ამბობდა, რომ ამ დროს სტადიონის ირგვლივ მთელი თბილისი განათებული იყო. აღნიშნავდა იმასაც, რომ მატჩის უპრობლემოდ ორგანიზებას კურატორობას თავად საქართველოს სახელმწიფო მინისტრი უწევდა. რუსი ჟურნალისტების კომენტარებში აშკარად გამოსჭვივოდა ირონიაც, ნიშნის მოგებაც...

ჯერ კიდევ მანამ, სანამ რუსეთი თავის რეაქციას დააფიქსირებდა, ქართველი პოლიტიკოსები, რომლებთანაც დაკავშირება "24 საათმა" გუშინ ღამით მოახერხა, ძალზე ემოციურნი იყვნენ და საქართველოს "თავის მოჭრაზე" "გულდამძიმებულნი" საუბრობდნენ:

**"რაღა მაინცდამაინც ახლა და მაინცდამაინც რუსეთთან მატჩში მოხდა ეს. რუსეთს კიდევ ერთი საშუალება მიეცა, რომ საქართველოზე, როგორც არშემდგარ ქვეყნაზე, ილაპარაკოს. ილაპარაკოს ქილიკით..."** - წუხდა გუშინ გია ბარამიძე.

**"დანა რომ დამარტყა, სისხლი არ წამომივა, ისე, როგორც, დარწმუნებული ვარ, მთელ საქართველოს. რაღაც ხომ უნდა მოვიგოთ ამ ცხოვრებაში, რა ჯადო გვჭირს ასეთი... კომენტარის გაკეთების სურვილი ახლა არ მაქვს... დღეს ხელისუფლებამ ის ანგარიში გააკეთა, რისი ღირსიცაა... კი იტყვიან, ახლა, ხელისუფლება რა შუაშიაო, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან სიმბოლური იყო..."** - განუცხადა "24 საათს" ვასილ მაღლაფერიძემ.

კობა დავითაშვილი გუშინ შუქის გამორთვასა და მატჩის ჩაშლაზე მეტად იმან გააოგნა, რომ ქართველმა გულშემატკივარმა ეს ყველაფერი ძალიან მშვიდად მიიღო: **"სტადიონზე საზოგადოების რეაქციამ დაადასტურა, რომ ჩვენ უკვე აღარაფერი აღარ გვიკვირს. თვით სამარცხვინო ფაქტებსაც კი შევეჩვიეთ. ხალხმა სტადიონზე აღშფოთება გამოხატა,**

გაგრძელება A2 გვერდზე

## პოლიტიკა

### "ჩრდილოეთ ოსეთი მუდმივად თვალყურს ადევნებს..."

ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის პრეზიდენტი ალექსანდრ ძასოხოვი, ოფიციალური ვერსიის თანახმად, თბილისში რუსეთის საფეხბურთო ნაკრების საგულშემატკივროდ ჩამოვიდა. თუმცა ის, რომ გუნდის თამაშზე მეტად ბატონ ძასოხოვს შიდა ქართლში დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაცია ანაღვლებდა, საქართველოს პრეზიდენტთან წინასწარ დაუგეგმავი შეხვედრის დროსაც გამოჩნდა.

A3

## ეკონომიკა

### „თბილგაზი" ქონების მართვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ბრუნდება

16 ოქტომბერს, "თბილგაზის" აქციონერთა კრებაზე, მერია მისთვის
1995 წელს "თბილგაზის" აქციების მმართველობაზე დელეგირებულ უფლებას კვლავ ქონების მართვის სამინისტროს დაუბრუნებს. ამის შემდეგ, "თბილგაზზე" "მზრუნველობას", ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ითავებს.

A3

## საზოგადოება

### არ დაგვივიწყოთ!

თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის ერთ-ერთ ლამაზზოიან სახლში გაიმართა წარმოდგენა და კონცერტი, მოეწყო ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა. ამ ღონისძიების მონაწილენი არაპროფესიონალი მსახიობები, მომღერლები და მხატვრები იყვნენ.

A4

### თევდორე მღვდლის №10-ში მიწა ორი კვირის წინაც „იძრა„

ბოლო დროს თბილისში თითქმის ყოველი ახალი სავაჭრო ობიექტის მშენებლობას მეზობლად მცხოვრებლებთან კონფლიქტი მოჰყვება.

A4

## სამართალი

### მკვლელ სნაიპერს მთელი ამერიკა ეძებს

"ვაშინგტონელი სნაიპერის" მსხვერპლთა რიცხვი მატულობს. აშშ-ს პოლიცია და ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლები ფართომასშტაბიან ღონისძიებას ატარებენ მას შემდეგ, რაც პარასკევს, დილით კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა, ოღონდ ამჯერად ვირჯინიის შტატში.

A4

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 27 |
| ქუთაისი | 32 |
| ბათუმი | 30 |
| სოხუმი | 30 |
| ფოთი | 32 |
| თელავი | 24 |
| ზუგდიდი | 32 |
| გორი | 23 |
| ახმეტა | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1670 |
| ევრო | 2.1382 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3872 |
| რუბლი | 0.0684 |

## თამაშის ჩაშლა საქართველოს ასეულათასობით დოლარი დაუჯდება

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოსა და რუსეთის ეროვნული ნაკრები გუნდების შესარჩევ მატჩზე დასასწრებად მისული მრავალჭირნახული 20 ათასამდე გულშემატკივარი, ალბათ, მოვლენების ნებისმიერი სცენარით განვითარებას მოელოდა, თვით თამაშის ჩაშლასაც კი, მაგრამ თუ ეს საქართველოსთვის ასეთი გაცვეთილი და ყოველდღიური მიზეზით – ელექტროენერგიის გათიშვის გამო მოხდებოდა, ვერავინ წარმოიდგენდა. არადა, სანამ "შუქი წავიდოდა", ძლივს ვიხილეთ ნამდვილი ფეხბურთი საქართველოს ნაკრების შესრულებით. ალექსანდრე ჩივაძემ ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანა და არც შემცდარა. ვერც ვიხსენებ ოფიციალურ შესარჩევ თამაშს, რომლის დროსაც საქართველოს ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში მწვრთნელებს ეროვნული ჩემპიონატის ხუთი ფეხბურთელი ერთბაშად შეეყვანათ. ჩივაძის მიერ ნაკრებში "შეშვებული" "ახალი სისხლი" (ლოკომოტიველი ლომაია, ტორპედოელი გივი დიდავა, დინამოელები – შაშიაშვილი, ამისულაშვილი და ბურდული) ეროვნულ გუნდს მართლაც მოუხდა. ჩვენმა ნაკრებმა, სანამ ამის საშუალებას განათება იძლეოდა, ანუ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში, ბრძოლისუნარიანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. თამაშიც, რომლის ჩვენებაც "შინდისფრებმა" პირველ ტაიმში მოასწრეს, არ იყო შინაარსს მოკლებული. სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზის გამო არ დაგვცალდა იმის გაგება, ახალი კაპიტნის, კახა კალაძის მეთაურობით შეძლებდა თუ არა ჩვენი გუნდი 90 წუთის განმავლობაში ამ ტემპის გაძლებას.

პირველად სინათლე შეხვედრის 42-ე წუთზე ჩაქრა. თუმცა, არ გასულა 4 წუთი, რომ ელექტროენერგიის მოწოდება აღდგა და გუნდებმა თამაში გააგრძელეს. ტაიმის დასრულებას (მსაჯის მიერ დამატებული ექვსი წუთის გათვალისწინებით) 2 წუთი აკლდა, რომ ოთხი მთავარი პროჟექტორიდან ორი ისევ გაითიშა. ნორვეგიელმა მსაჯმა, ტომ ჰენინგ ოვრებომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და შეხვედრის პირველი ნახევრის დასრულების სიგნალი მისცა. ფეხბურთელებმა

გაგრძელება A2 გვერდზე

## დასადგენია... გავარკვევთ...

მაია ურუშაძე

*გუშინ "ლოკომოტივის" სტადიონიდან შეცბუნებული პრეზიდენტის გაყვანას სამთავრობო დაცვა დიდხანს და უშედეგოდ ცდილობდა. ყველაზე მეტად შეცბუნებული სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი კი სიტყვებს ვერ პოულობდა და გამოსავალის პოვნას ისეთი ტრადიციული ფრაზეოლოგიით ცდილობდა, როგორებიცაა: "დასადგენია".. "გავარკვევთ"..*

და მაინც, რა მოხდა წუხელ "ლოკომოტივის" სტადიონზე? რატომ შეუწყდა ელექტრომომარაგება სტადიონის განათებას ესოდენ საპასუხისმგებლო მატჩის მსვლელობის დროს და რატომ აღმოჩნდა პრესტიჟული სტადიონი, რომლის სუპერთანამედროვე რემონტზეც შპს "საქართველოს რკინიგზამ" უამრავი თანხა დახარჯა, საერთაშორისო მატჩების ჩატარებისთვის აბსოლუტურად უვარგისი?

ამ კითხვებზე პასუხს საგანგებო სამთავრობო კომისია გასცემს... ან არ გასცემს. და თუ მაინც გასცემს, ეს დღეს ან ხვალ არ მოხდება. ეს კომისია წუხელვე შეიქმნა და "ლოკომოტივის" სტადიონის სამთავრობო ლოჟაში თითქმის დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. თუმცა, თავიდან მათ ერთი არცთუ უმნიშვნელო პირი – სტადიონის ენერგეტიკული სამსახურის უფროსი აკლდათ. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, "24 საათი" მის პოვნას ამაოდ ეცადა. შეუძლებელი აღმოჩნდა სტადიონის

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 რეპორტაჟი A3 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A4 საზოგადოება A4 კრიმინალი

B1 სპორტი B2 სტილი B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

## ამ ქვეყანაში არაფერი არ უნდა გიკვირდეს

პირველი გვერდიდან

**მაგრამ ჯერ არნახულის განცდა იქ არ ყოფილა. ხალხი შეეჩვია, რომ მუდმივად შეურაცხყოფას აყენებენ. და თუ ეს სიმბოლოა, მაშინ ძალიან ცუდის სიმბოლო გახლავთ,"** - ამბობდა იგი.

მამუკა გიორგაძისთვისაც ასეთი რამ მოულოდნელი არ ყოფილა: **"დაგვემართა ის, რაც ყოველდღიურად გვემართება სამსახურში, ქუჩაში, მეტროში, ტროლეიბუსში, დაგვემართა მსოფლიოს დასანახად. რა დასამალია და, შევრცხვით... კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ არა ვართ ჩამოყალიბებული იმისთვის, რომ ამ დონის შეხვედრები გავმართოთ. სტადიონზე რომ პრეზიდენტი ზის და იმ სტადიონზე შუქი გაითიშება, იმის ნიშანია, რომ ეს ხელისუფლება საკუთარ თავსაც არ სცემს პატივს,"** - აღნიშნა მან და საგანგებოდ სცადა იმის ხაზგასმა, რომ **"ჩვენი ბიჭები მაინც კარგად იბრძოდნენ..."**

შალვა ნათელაშვილს სტადიონზე შუქის გამორთვის შესახებ ინფორმაციამ რუსული პოლიტიკური შოუს ყურებისას მოუსწრო, სადაც ამის შესახებ საგანგებოდ გამოაცხადეს.

დავით გამყრელიძე გუშინ კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ამ ქვეყანაში არაფერი აღარ უნდა გაგიკვირდეს: **"ამ ქვეყანაში რეაქცია აღარაფერზე არ უნდა გქონდეს... ეს კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ იმ საერთო ქაოსისა და უპასუხისმგებლობისა, რაც ქვეყანაში სუფევს. იმ დროს, როცა სამთავრობო კომისიები შეიქმნა, ვითომ ყველაფერი ორგანიზებული იყო, აღმოჩნდა, რომ ერთი საფეხბურთო მატჩის ჩატარებაც არ შეგვიძლია..."**

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ბრძოლაში გუშინ საქართველომ წააგო.

დამნაშავის ვინაობა, ამ შემთხვევაში, შედეგს ნამდვილად არ ცვლის.

საქართველოს პრეზიდენტი გუშინ სამთავრობო დაცვამ სტადიონიდან ჯიპის ფარნების შუქზე გააპარა.

**"ეს უბედურებაა!"** - ამბობდა და კამერებს გაურბოდა გუშინ ავთანდილ ჯორბენაძე.

სახელმწიფო მინისტრი გუშინ ცამდე მართალი იყო - ასეთი ხელისუფლების მიერ "მართულ" ქვეყანაში ცხოვრება მართლაც უბედურება გახლავთ.

## დასადგენია... გავარკვევთ...

პირველი გვერდიდან

ადმინისტრაციასთან გასაუბრებაც, თუმცა ის პირები, ვისაც მათი პოვნის მიზნით მივმართავდით, დიქტოფონის დანახვაზე ზურგს გვაქცევდნენ ან გვეუბნებოდნენ: **"ვინ გითხრათ, რომ ავარია სტადიონის შიდა დაზიანების ბრალი იყო? თუ ძალიან გაინტერესებთ, გარედან შემომავალი კაბელი გასკდა და მაგას მოჰყვა ყველაფერი."**

**"ენერგეტიკული სამსახური სტადიონს არა აქვს, ჰყავს ორი ენერგეტიკოსი, რომლებსაც ახლა აფხიზლებენ. კაცმა არ იცის, რა ხდება,"** – ჩაგვილაპარაკა ამასობაში უცნობმა მოქალაქემ.

**"გამოსაკვლევია.. დავადგენთ... ადგილობრივი დაზიანება მოხდა. ორი ვერსიაა: ან აქაური პატარა ტრანსფორმატორი დაზიანდა ან სტაბილიზატორი, საიდანაც სტადიონის გარე განათებას მიეწოდება ელექტროენერგია. ეს გარე განათება გუშინ ექვსი საათი მუშაობდა, ანუ შეამოწმეს. პრობლემა არ ჰქონია,"** – განაცხადა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ.

როგორც "ეი-ი-ეს თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა სოფო ბრეტანჩუკმა გვაცნობა, **"თელასიდან სტადიონს სამი კვება აქვს. არც ერთი არ დაზიანებულა, არც ის, რომელიც ჩართული იყო და არც ორი სარეზერვო. დაზიანება არ ყოფილა არც ქვესადგურში და არც ფიდერზე. დაზიანდა შიდა სტაბილიზატორი, სტადიონის განათებაც ამის გამო ჩაქრა. "ეი-ი-ეს თელასის" მხრიდან ყველაფერი წესრიგში იყო – ინციდენტი ლოკალური შიდა მეურნეობის დაზიანებამ გამოიწვია."**

**"ელექტროენერგიის წყვეტაც კი არ ყოფილა "ეი-ი-ეს თელასის" მხრიდან,** - განაცხადა "ეი-ი-ეს თელასის" ტექნიკურმა დირექტორმა თამაზ ტყემალაძემ, - **სტადიონს დაუზიანდა შიდა სტაბილიზატორი, რომელიც მათ გარე განათებას ემსახურება. ტრანსფორმატორში არავითარი პრობლემა არ იყო - იქ მშრალი ტრანსფორმატორია და ზეთი არც უნდა ყოფილიყო მასში. თუმცა, არსებობს შემოწმების წესები, რაც ყველა ენერგეტიკულ მოწყობილობას უტარდება ხოლმე."**

**"წინასწარ უნდა მომხდარიყო ტესტირება, ეს აუცილებელია,"** – ეთანხმება "ეი-ი-ეს თელასის" ტექნიკურ დირექტორს ელექტრომომარაგების საქალაქო სამსახურის უფროსი თემურ ჭინჭარაულიც.

როგორც ჩანს, ჩასატარებელი მატჩის მოლოდინით აჟიტირებულ სტადიონის ადმინისტრაციას ენერგეტიკული უსაფრთხოების სტანდარტული წესები გუშინ დღის განმავლობაში არ გახსენებია და არც შიდა ენერგომეურნეობის შემოწმებაზე უზრუნია ვინმეს. შედეგად, სტადიონის გარე განათების უმძლავრესმა მოწყობილობამ გუშინ სირცხვილი არა მარტო სტადიონის ადმინისტრაციას, არამედ იქ მყოფ პრეზიდენტსა და სრული შემადგენლობით სტადიონზე მისულ სამთავრობო კორპუსსაც აჭამა.

## თამაშის ჩაშლა საქართველოს ასეულათასობით დოლარი დაუჯდება

პირველი გვერდიდან

გასახდელში შესვლაც ვერ მოასწრეს, რომ სინათლე მთელს სტადიონზე გაითიშა და 20 ათასი გულშემატკივარი სრულ სიბნელეში აღმოჩნდა. ამ მომენტიდან დაიწყო დაძაბულობა, რაც დროის გასვლასთან ერთად სულ უფრო საშიშ ფორმებს იღებდა. კიდევ კარგი, უშუქობა ახალი ხილი არ არის ჩვენთვის, თორემ პანიკა რომ ამტყდარიყო, ალბათ მსხვერპლსაც ვერ ავიცდენდით თავიდან. სტადიონის გათიშვიდან, დაახლოებით, ოცი წუთის გასვლის შემდეგ გულშემატკივრებმა, თითქოს წინასწარ იყვნენ ნავარჯიშები, საკმაოდ ხმაშეწყობილად დაიწყეს შეურაცხმყოფელი და უცენზურო "ლოზუნგების" სკანდირება. პროტესტის ამ ფორმას საქართველოს პრეზიდენტის ლოჟის გარშემო სამართალდამცავების გაორმაგება მოჰყვა. ამასობაში, რუსმა ფეხბურთელებმა გასახდელიდან ავტობუსში გადაინაცვლეს, რაც მაყურებელს შეუმჩნეველი დარჩა. მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, ინფორმატორმა გამოაცხადა, რომ სტადიონს დენის მიწოდება უმცირეს დროში აღუდგებოდა, რაც ბლეფი აღმოჩნდა.

**მერაბ ჟორდანია** (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): "ვერ გეტყვით, რა სახის ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია ეს ფაქტი. ალბათ, დეტალურად ხვალ გაირკვევა ყველაფერი. მინდა დაგამშვიდოთ, რომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ უეფა არავითარ სანქციას არ გაატარებს. დაინიშნება გადათამაშება, რომლის თარიღსაც უეფა დაადგენს. ოღონდ, წინასწარ იმას ვერ გეტყვით, თავიდან ჩატარდება მატჩი თუ მხოლოდ ერთ ტაიმს ვითამაშებთ. გამორიცხულია, რომ ევროპის საფეხბურთო ასოციაციამ გადასათამაშებელი მატჩის ჩატარების ადგილად ნეიტრალური მოედანი შეარჩიოს. თამაში კვლავაც თბილისში გაიმართება. რუსეთთან შეხვედრის განმეორებით გამართვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 300 ათასი დოლარი დაუჯდება."

## რუსები "ლოკომოტივის" ჩაბნელებას ჩუბაისს "აბრალებენ"

"შექმნილ ვითარებაში მთავარი დამნაშავე შეიძლება, არც მეტი არც ნაკლები... ანატოლი ჩუბაისი იყოს. ჩუბაისი ხომ პირდაპირ თამაშის წინ აცხადებდა, რომ ქართულ მხარეს რუსეთის წინაშე ელექტროენერგიის დიდი ვალი აქვს და თუ არ გადაიხდის, სერიოზულ ზომებს მივიღებთო," - ასეთი შეფასება მისცეს "სპორტ სეგოდნიაზე" რუსმა ჟურნალისტებმა ლოკომოტივის სტადიონზე მომხდარ ფაქტს.

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა სატელეფონო ინტერვიუში განაცხადა, რომ ქართველებმა მათ ავტობუსს ქვები და კვერცხები დაუშინეს, რის შედეგად ავტობუსის ერთ-ერთი ფანჯარა ჩატყდა. არავინ დაშავებულა. "ვინაიდან 16 ოქტომბერს ვოლგოგრადში ალბანეთის ნაკრებს ვხვდებით, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ხვალ ვერაფრით ვითამაშებთ. ეს მატჩი სავარაუდოდ ნოემბერში ან გაზაფხულზე გაიმართება," - განაცხადა ვალერი გაზაევმა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს პაატა გომელაურს, რომელმაც ამ ინფორმაციას აბსურდული უწოდა. "ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. რუსები სასტუმროში მშვიდობით დაბრუნდნენ," - განაცხადა პაატა გომელაურმა.

რაც შეეხება თამაშის ჩატარება-არჩატარების საკითხს, რუსი ჟურნალისტები აქაც ვერ შეთანხმდნენ. ტელეკომპანია ნტვ-ს ეთერით, გაზეთ "სპორტ ექსპრესის" ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვლადიმირ მასლაჩენკომ განაცხადა, რომ თამაში დღეს გაიმართება, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს გამორიცხულია. რუსეთის ნაკრები გვიან ღამით ვოლგოგრადში გაფრინდა.

"თამაშის ხვალ გამართვის იდეა ქართულმა მხარემ შემოგვთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. დღეს ვოლგოგრადში მივფრინავთ," - განაცხადა რუსეთის ნაკრების პრეს-ატაშემ ალექსეი ანდრონოვმა.



მატჩის დასაწყისი




ორთაბრძოლა



უტევს რუსეთის ნაკრები



სახიფათო მომენტი რუსეთის კართან



სტადიონი ჩაბნელდა



ვალერი გაზაევი გადათამაშების პერსპექტივაზე საუბრობს



მასპინძლები და სტუმრები გაოგნებულები არიან



იმედგაცრუებული გულშემატკივრები ტოვებენ სტადიონს

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# "კავკასიური ოთხეული" თბილისში

*თბილისი გუშინ სამი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელებს - რუსეთის ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელს სერგეი მირონოვს, აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის თავმჯდომარეს მურთუზ ალესკეროვს და სომხეთის ეროვნული კრების სპიკერს არმენ ხაჩატრიანს მასპინძლობდა. შეხვედრაში საქართველოს მხარეს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე წარმოადგენდა. ეს გახლდათ მეორე შეხვედრა "კავკასიური ოთხეულისა", რომელიც, ტრადიციისამებრ, დახურული ფორმატით გაიმართა და რომელზეც, მონაწილეების განცხადებით, "მეტისმეტად გულახდილი" დიალოგი შედგა.*

თამარ ხორბალაძე



*"კავკასიური ოთხეული" საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ.*

ოთხეული გუშინ საქართველოს პრეზიდენტსაც შეხვდა.

**"შევთანხმდით, რომ "ოთხეულის" შეხვედრაზე განხილულ თემებსა და შედეგებს არ გავახმოვანებდით. საქართველოს პრეზიდენტს კი სწორედ ეს დახურული ინფორმაცია მოვახსენეთ,"** - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს პრეზიდენტთან შეხვედრიდან გამოსულმა რუსეთის ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელმა სერგეი მირონოვმა. მან ასევე აღნიშნა, რომ თავად იდეა ყოველ კვარტალში ერთხელ "ოთხეულის" შეხვედრისა, უკვე მისასალმებელია.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კი განაცხადა, რომ შეხვედრაზე ისაუბრეს ყველა მტკივნეულ საკითხზე.

არსებული ინფორმაციით, შეხვედრის ძირითადი თემები კავკასიის კოლექტიური უსაფრთხოება და ტერიტორიული კონფლიქტების დარეგულირების პრერსპექტივა გახლდათ.

რუსეთ-საქართველოს პარლამენტების თანამშრომლობის პერსპექტივასთან დაკავშირებით, სერგეი მირონოვმა მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივას დეპუტატთა მუდმივმოქმედი ჯგუფის შექმნის შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ პარლამენტის პირველი პირების ინტენსიური ურთიერთობა არ არის საკმარისი და აუცილებელია **"საკანონმდებლო ორგანოების ურთიერთობის ინტენსიფიკაცია".**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ამ საკითხის კომენტირებისას კმაყოფილება გამოთქვა მირონოვის კონსტრუქციულობის გამო: **"იგი ყოველთვის მზადაა, მოგისმინოს. მართალია, ხშირად ჩვენი პოზიციები არ ემთხვევა, მაგრამ აშკარაა, რომ რუსეთის მხარეც აცნობიერებს არსებული არანორმალური ურთიერთობების დარეგულირების აუცილებლობას,"** - განაცხადა მან.

# "ჩრდილოეთ ოსეთი მუდმივად თვალყურს ადევნებს..."

თამარ ხორბალაძე

*ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის პრეზიდენტი ალექსანდრ ძასოხოვი, ოფიციალური ვერსიის თანახმად, თბილისში რუსეთის საფეხბურთო ნაკრების საგულშემატკივროდ ჩამოვიდა. თუმცა ის, რომ გუნდის თამაშზე მეტად ბატონ ძასოხოვს შიდა ქართლში დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაცია ანაღვლებდა, საქართველოს პრეზიდენტთან წინასწარ დაუგეგმავი შეხვედრის დროსაც გამოჩნდა.*

შეხვედრიდან გამოსული ალანიის პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ანტიკრიმინალური ოპერაცია "სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიასთან "მეტისმეტად ახლოს" მიმდინარეობს. ამ სიახლოვემ, მისი თქმით, შესაძლოა, მოსახლეობა შეაშფოთოს, რაც დაუშვებელი გახლავთ.

ალექსანდრ ძასოხოვი არ ეთანხმება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სამაჩაბლოს ტერიტორია კრიმინალების ბუდედ არის ქცეული: **"იქ არაფერი ისეთი განსაკუთრებული არ ხდება,"** - განაცხადა მან და ხაზი გაუსვა: **"კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ისეთი ოპერაციის ჩატარების, რომელიც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას მყუდროებას დაურღვევს".**

ამ განცხადებებით მან ზუსტად გაიმეორა თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე ფაქტო მეთაურის - კოკოითის პოზიცია, რომლის ხელისუფლებაც, როგორც ცნობილია, სამაჩაბლოს რეგიონში მოქმედი კრიმინალების საფუძველზე "დგას".

ამასთან, რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი თავს უფლებას აძლევს, საქართველოს ხელისუფლებას შეახსენოს, რომ საქართველოს ამ რეგიონში სიტუაციას **"საუკეთესოდ აკონტროლებენ სამშვიდობო ძალები და დამატებითი ძალების ამოქმედების საჭიროება ამ ტერიტორიაზე საჭირო არ არის".** აქვე მან ქვეყნის ხელისუფალს საგანგებოდ მოახსენა, რომ "ჩრდილოეთ ოსეთი მუდმივად თვალს ადევნებს სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებს".

საგანგებოდ აღნიშნა ბატონმა ძასოხოვმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირებით განსაკუთრებული დაინტერესებაც: **"საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ტემპერტურაზეა დამოკიდებული ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის კეთილდღეობა..."** - განაცხადა მან და იმედი გამოთქვა, რომ კიშინიოვის შეთანხმებები რეალურად გატარდება ცხოვრებაში.

## უცხოეთი

# მოსკოვმა უარი თქვა აფხაზ და ოს „უკანონო შვილებზე"

*რუსეთში მიმდინარე მოსახლეობის საყოველთაო აღწერა არ შეეხება არც აფხაზეთისა და არც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც ბოლო თვეებში რუსეთის მოქალაქის პასპორტები მიიღო.*

გიორგი ხელაშვილი

**"რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა სცნო",** - ამ სათაურით დაიბეჭდა სტატია "ნეზავისიმაია გაზეტას" ბოლო ნომერში. გაზეთის ცნობით, რუსეთში მიმდინარე მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიღმა დარჩა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც სჯერა, რომ რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. გაზეთი ვარაუდობს, რომ რუსეთის მოქალაქეობა ამ ორ უკონტროლო ტერიტორიაზე მცხოვრებლებს უკანონოდ დაუმტკიცდათ.

**"მოსკოვი უარს ამბობს თავისი უკანონო შვილების აღიარებაზე. ეს მოწმობს, რომ რუსეთს, როგორც ჩანს, არ გააჩნია ამ ტერიტორიების შეერთების კარგად გააზრებული კონცეფცია,"** – მიაჩნიათ "ნეზავისიმაია გაზეტას" ჟურნალისტებს.

როგორც სტატიის ავტორები ირწმუნებიან, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას რუსეთში მიმდინარე აღწერაში, მაგრამ მათ ამის საშუალება არ გააჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის 70 პროცენტმა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთა 60 პროცენტმა ფორმალურად უკვე მიიღო რუსეთის მოქალაქეობა.

**"სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ლიდერებს უნდა ესმოდეთ, რომ მოსკოვი ოფიციალური თბილისის მიერ გაუკონტროლებელ ტერიტორიებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლისათვის იყენებს,"** – ასკვნის "ნეზავისიმაია გაზეტა".

გასულ ოთხშაბათს რუსეთში დაწყებული, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 16 ოქტომბრამდე გასტანს და რუსეთის დღევანდელი საზოგადოების სახეს გამოავლენს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მოსახლეობის აღწერამ ლამის პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობის ნაწილს მასში მონაწილეობის არავითარი სურვილი არ გააჩნია. ამიტომაც, საჭირო გახდა პროპაგანდის გაძლიერება, რათა მოსახლეობას აღწერის პროცესში უფრო ეაქტიურა. თვით პრეზიდენტმა პუტინმა, პრემიერ-მინისტრმა კასიანოვმა და მისი კაბინეტის წევრებმა მოუწოდეს რუსეთის მოსახლეობას, რომ პატიოსნად მოეხადათ პატრიოტული ვალი და აღწერაში მონაწილეობა მიეღოთ.

ამის მიუხედავად, აღწერის კამპანია სერიოზულ სიძნელეებს აწყდება, რომელთაგან უპირველესი მოსახლეობის მხრიდან უნდობლობაა. საქმე ისაა, რომ, აღმწერების ნაცვლად, ხშირად ბინებში მძარცველები და ყაჩაღები იჭრებიან. ხშირად კი ისეც ხდება, რომ აღწერის პროცესს მოსახლეობა მთავრობაზე ზეწოლისათვის იყენებს – აღწერაში მონაწილეობის სანაცვლოდ, ზოგიერთი რეგიონის მოსახლეობა ცხელი წყლით მომარაგების აღდგენას ითხოვს, ზოგი კი – რუსეთისათვის ავადსახსენებელი დანგრეული გზების აღდგენას.

რუსეთის მთავრობისათვის უსიამოვნო პირველი დეტალები აღწერის დასაწყისშივე გამოვლინდა – შორეულ აღმოსავლეთში აღწერის პირველი მონაწილეები არა რუსეთის ძირძველი მოსახლეობა, არამედ ბოლო წლებში ჩასახლებული ჩინელები აღმოჩნდნენ. წინასწარი მონაცემებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს რეგიონი უკვე მილიონამდე ადგილობრივმა მცხოვრებმა მიატოვა და რუსეთის ცენტრალურ რეგიონებს მიაშურა. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის რიცხვი 4 მილიონამდე შემცირდა, რაც შორეულ აღმოსავლეთში დემოგრაფიული პრობლემის სერიოზულ გამწვავებაზე მეტყველებს. სხვადასხვა მონაცემებით, შორეულ აღმოსავლეთში 30-დან 300 ათასამდე უკანონოდ ემიგრირებული ჩინელი ცხოვრობს. შორეული აღმოსავლეთის დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტა პუტინის ადმინისტრაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, თუმცა, ჯერჯერობით, სერიოზული კონკრეტული შედეგები არ ჩანს.

რუსეთში მიმდინარე საყოველთაო აღწერამ საყურადღებო ცნობები უნდა გამოამზეუროს – მეტწილად იმის თაობაზე, თუ რამდენად დაიხია უკან რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების დონემ. თუმცა, ძნელი სათქმელია, რომ ეს უარყოფითი შედეგები ახლანდელ ხელისუფლებას დაბრალდეს. რუსეთის პოლიტიკურ პრაქტიკაში უკვე დანერგილი ტენდენციის მიხედვით, ყველაფერი ცუდი და უარყოფითი ელცინის დროინდელ "უძრაობის ხანას" უკავშირდება, პუტინი კი ყოველივე დადებითსა და პროგრესულს განასახიერებს.

## ეკონომიკა

# „თბილგაზი" ქონების მართვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ბრუნდება

*16 ოქტომბერს, "თბილგაზის" აქციონერთა კრებაზე, მერია მისთვის 1995 წელს "თბილგაზის" აქციების მმართველობაზე დელეგირებულ უფლებას კვლავ ქონების მართვის სამინისტროს დაუბრუნებს. ამის შემდეგ, "თბილგაზზე" "მზრუნველობას", ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ითავებს.*

სოფიკო ოხანაშვილი

**"მას შემდეგ, რაც მერია "თბილგაზის" აქციების მმართველობის უფლებებს ისევ ქონების მართვის სამინისტროს გადასცემს, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ქონების მართვის სამინისტრომ "თბილგაზი" მართვის უფლებით ენერგეტიკის სამინისტროს დაუქვემდებაროს",** - განაცხადა "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გია ქაჯაიამ.

მოვლენების ასე წარმართვის შესაძლებლობას არც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს პრესცენტრში გამორიცხავენ, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პრეზიდენტის პრეროგატივაა. **"ბუნებრივია, ქონების მართვის სამინისტრო "თბილგაზს" ვერ მართავს, იმიტომ, რომ არც სახსრები აქვს და არც სპეციალისტები ჰყავს. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, ალბათ, "თბილგაზი" ჩვენი სამინისტროს დაქვემდებარებაში გადმოვა. ეს არც სათბობ-ენერგეტიკის და არც ქონების მართვის სამინისტროების გადასაწყვეტი არ არის და პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს",** - აღნიშნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ასათიანმა.

"თბილგაზის" მართვის სათბობ-ენერგეტიკის სამინიტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შესაძლებლობას არც ქონების მართვის სამინისტროში უარყოფენ.

ამ ვერსიას თბილისის მერიაშიც ადასტურებენ, თუმცა, "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოსა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს პრეს-სამსახურისაგან განსხვავებით, თბილისის მერი ვანო ზოდელავა არა მარტო დარწმუნებულია, რომ "თბილგაზი" სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაექვემდებარება, არამედ ამას აუცილებლადაც მიიჩნევს. **"რამდენიმე წელია, ვაყენებ საკითხს, რომ "თბილგაზის" მართვის უფლება კვლავ ქონების მართვის სამინისტროს გადაეცეს. ეს საწარმო იყო ქონების მართვისა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროების დაქვემდებარებაში და ისევ მათ უნდა დაუბრუნდეს",** - განაცხადა დედაქალაქის მერმა.

"თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოში თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემის მერიის დაქვემდებარებიდან გამოყოფის ერთ-ერთ მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მერიამ თავისი ფინანსური შესაძლებლობები ამოწურა და ბუნებრივი აირის შესაძენად თანხის გამოყოფის საშუალება აღარ გააჩნია. **"მერიას გაზის შესყიდვაზე იმდენი თანხა აქვს დახარჯული, რომ უკვე ფიზიკურად აღარ აქვს საშუალება, ბუნებრივი აირის საფასური გადაიხადოს. "თბილგაზი" სტრატეგიული ობიექტია, რომელიც მძიმე მდგომარეობაშია და რეაბილიტაცია სჭირდება, ამიტომ ახლა სახელმწიფომ უნდა მიხედოს. ალბათ, ინვესტორის შემოსვლამდე, საჭირო თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფენ ან რაიმე სხვა გზას გამოძებნიან",** - განაცხადა გია ქაჯაიამ.

"თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს პოზიციას, რომ "თბილგაზზე" სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, ვანო ზოდელავაც იზიარებს, რასაც დარგის გაფართოებით ხსნის, ეს კი უკვე საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება. **"როდესაც "თბილგაზი" მერიას დაუქვემდებარეს, მაშინ დედაქალაქს, ფაქტობრივად, გაზი არ მიეწოდებოდა. მხოლოდ ათი ათასი ოჯახი და პურის ქარხნები მარაგდებოდა ბუნებრივი აირით. დღეს უკვე 170 ათასი ოჯახია გაზით უზრუნველყოფილი, ამიტომ მას უფრო სრულყოფილი მენეჯმენტი სჭირდება, რაც, რა თქმა უნდა, ქონების მართვისა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებმა უნდა აიღონ თავის თავზე",** - განაცხადა ვანო ზოდელავამ და იქვე დასძინა, რომ მერია პასუხისმგებლობას არ გაექცევა და ამ დარგის განვითარებაში შეძლებისდაგვარად მიიღებს მონაწილეობას.

"თბილგაზის" მერიის დაქვემდებარებიდან გამოყოფის საკითხი ადრეც იდგა დღის წესრიგში. ქალაქის გაზგამანაწილებელ სისტემაში "ტაჰალისა" და, შემდგომ, "იტერას" შემოსვლის საკითხის დადგომამდე, დაახლოებით, ერთი წლის წინ, საუბარი იყო, რომ "თბილგაზის" აქციები გაზის საერთაშორისო კორპორაციას გადასცემოდა.

# "ფოთის გემთსაშენი" "აზოტისთვის" ტერმინალს აშენებს

სააქციო საზოგადოება "აზოტი" კაპროლაქტამის წარმოების გაშვებისათვის ემზადება, რომელიც, უკვე რამდენიმე წელია, გაჩერებულია. ამ წარმოების ამუშავებით დაინტერესებულია "აზოტის" პარტნიორი "იტერაც". მიმდინარე შიდა საქარხნო სამუშაოების გარდა, "აზოტმა" ფოთის გემთმშენებელ ქარხანას მისსავე ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტის, ფენოლის სასაწყობო ტერმინალის დაპროექტება და მშენებლობა შეუკვეთა. პროექტზე მუშაობა უკვე დამთავრებულია, მშენებლობა კი ჯერ არ დაწყებულა.

"რადგან ამ პროდუქტის რუსეთიდან შემოზიდვაზე პრობლემები გვაქვს, ეს ტერმინალი მოგვცემს საშუალებას, საზღვარგარეთიდან შემოვიტანოთ შედარებით იაფი ფენოლი, კაპროლაქტამის წარმოების გასაშვებად. ფენოლის უწყვეტი მიღება კაპროლაქტამის ასევე უწყვეტი მუშაობისთვის აუცილებელი ფაქტორია, - განაცხადა "აზოტის" ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელმა ბეჟან გოგუაძემ. მისივე თქმით, წარმოებას ყოველთვიურად 3000 ტონა ფენოლი ესაჭიროება.

# საგადასახადო პინგ-პონგი

ქვემო ქართლის მხარეში არსებული მსხვილი ობიექტების ხან ადგილობრივ საგადასახადო და ხანაც მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში გადაყვან-გადმოყვანა პინგ-პონგის თამაშს ემსგავსება. დაახლოებით, ოცამდე ობიექტი გასულ წელს მსხვილებიდან საოლქო საგადასახადოში გადაიყვანეს აღრიცხვაზე, მიმდინარე წლის მაისიდან კი ისევ უკან დააბრუნეს.

რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილის მამუკა წაქაძის ინფორმაციით, მინისტრის გარდა, ყველა თანამდებობის პირს ხელი მოწერილი აქვს ბრძანების პროექტზე, რომლის თანახმადაც რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზე ბრუნდებიან რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, "ებასი" და "თი-ბი-სი" ბანკის რუსთავის ფილიალი. ასევე "ეი-ი-ეს მტკვარი", "ტრანსენერგეტიკა", ვაზისუბნის ღვინის ქარხანა, ხრამჰესი-1 და ხრამჰესი-2.

**"სახარბიელო ამაში არაფერია, რადგან ამ ობიექტებს მიმდინარე წლის მანძილზე ბიუჯეტში შეტანილი არაფერი აქვთ. თვითონ ვერაფერი გააკეთეს და ამიტომ უნდათ ამ ობიექტების მოშორება. ამან, შეიძლება, მხარის მასშტაბით უმართავი სიტუაცია შექმნას, რადგან არც ერთი მათგანი გადამხდელი არ არის. მაგალითად, "ეი-ი-ეს მტკვარი" პრაქტიკულად განადგურებულია, ერთი ენერგობლოკი აღარ არსებობს, მეორე კი ჯერაც არ ჩართულა,"** - აცხადებს წაქაძე.

*მაია მოსიაშვილი*
*რუსთავიდან*

# უკრაინას არ სურს, გაზის კონსორციუმი რუსეთს გაუყოს

უკრაინის პრემიერ-მინისტრი ანატოლი კინახი უარყოფს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გაზის კონსორციუმში პარიტეტული თანამშრომლობა რუსეთსა და უკრაინას შორის წილების 50/50-ზე გაყოფას ნიშნავს და რომ, დასავლეთის კომპანიების პროექტებთან მიერთების შემთხვევაში, ეს წილები თანაბრად შემცირდება.

შეგახსენებთ, რომ კიშინიოვის სამიტზე რუსულ "გაზპრომსა" და უკრაინულ "ნაფტაგაზს" შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას საერთაშორისო გაზის კონსორციუმის შექმნის თაობაზე, რომლის მთავარ მიზანსაც რუსული გაზის უკრაინის გაზსადენის მეშვეობით ევროპაში ტრანსპორტირება წარმოადგენს.

"უკრაინისა და რუსეთის წილებთან დაკავშირებული საკითხები, ამ წილების 34 პროცენტამდე შემცირება – ეს სწორედ ის თემებია, რომლებიც, უკრაინის მხარის დაჟინებული მოთხოვნით, არ არის ჩართული შეთანხმების ტექსტში. უკრაინის მხარე არ წავიდა დათმობებზე და ეს მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, რომ ამის მცდელობა იყო," – განაცხადა ანატოლი კინახმა.

## მოკლედ

**კიევი.** შაბათს უკრაინის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ხელახლა შეიკრიბნენ კიევის ცენტრალურ მოედანზე. მიტინგის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა კვლავ ხელისუფლების სისტემის ცვლილება და პრეზიდენტ კუჩმას გადადგომაა. მიტინგში მონაწილეობას იღებენ უკრაინის სოციალისტური პარტია, კომუნისტები და პარტია "ბატკივშჩინა". მიტინგზე, სხვადასხვა მონაცემებით, 10-დან 20 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის - იულია ტიმოშენკოს განცხადებით, მიტინგი გაგრძელდება მანამ, სანამ პრეზიდენტი კუჩმა არ გადადგება. მილიცია მიტინგზე შეკრებილებს მოუწოდებს, "დაიცვან წესრიგი და არ აღმოჩნდნენ პოლიტიკოსთა იარაღის როლში". მიტინგი მაინც ტარდება იმის მიუხედავად, რომ მთავრობას მისი ჩატარების უფლება პარტიებისთვის არ მიუცია. აქციის პირველი დღის დასასრულს უკრაინის ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილმა გენერალური პროკურატურის შენობაში შეაღწია და გენერალურ პროკურორს მიტინგის მონაწილეთა რეზოლუცია გადასცა, რომელიც პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს.

■ ■ ■

**ჰელსინკი.** ფინეთის პოლიციის ცნობით, დედაქალაქის გარეუბნის სავაჭრო ცენტრში ბომბის აფეთქების შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა და 80-მდე დაიჭრა, ხოლო სავაჭროს ცენტრის ნაწილი ჩამოინგრა. აფეთქება 20 წლის სტუდენტმა მოაწყო, რომელიც თავადაც აფეთქებას შეეწირა. ამ დანაშაულის მოტივები პოლიციისათვის ჯერჯერობით უცნობია. ფინეთის პრემიერ-მინისტრის პაავო ლიპონენის განცხადებით, მთავრობა ცდილობს, გაარკვიოს, იყო თუ არა აფეთქება დაკავშირებული ტერორისტულ ჩანაფიქრთან. წინასწარი მონაცემებით, ბომბი ისე იყო დამონტაჟებული, რომ მაქსიმალური ზიანი გამოეწვია. აფეთქებისას სავაჭრო ცენტრში 2000-მდე ადამიანი იმყოფებოდა. შეიძლება ითქვას, რომ გუშინ ჰელსინკიში მომხდარი აფეთქება ქვეყნის ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე სერიოზული ინციდენტია.

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** გროზნოში მილიციამ დააკავა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც, შეიძლება, დაკავშირებულნი იყვნენ გუშინწინ ზავოდსკოი რაიონის მილიციის განყოფილებაში მომხდარ აფეთქებასთან. პროკურატურის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს დაკავებულთა გვარების დასახელებისაგან, მაგრამ ხაზი გაუსვეს, რომ მათ "კავშირი აქვთ მილიციასთან". რუსი სამართალდამცველები მიიჩნევენ, რომ გროზნოს ტერაქტი, რომლის დროსაც 22 ადგილობრივი მილიციელი დაიღუპა, მილიციის უფროსის მაგომედ სიდაევის წინააღმდეგ იყო მიმართული. სიდაევი ტერაქტის შედეგად დაიღუპა. ჩეჩნეთის მილიციის წარმომადგენლები აფეთქების პირველი წუთიდანვე ეჭვობდნენ, რომ მილიციის განყოფილების კარგად დაცულ შენობაში ასაფეთქებელი ნივთიერების შეტანა მხოლოდ მილიციის თანამშრომელს შეეძლო.

■ ■ ■

**ერაყი.** 500-მდე ერაყელმა სასულიერო პირმა და მუსლიმმა ღვთისმეტყველმა შაბათს გამოსცა ედიქტი, რომლითაც მუსლიმებს ამერიკის წინააღმდეგ საღვთო ომის დაწყებისაკენ მოუწოდა, თუ შეერთებული შტატები ერაყის წინააღმდეგ ომს დაიწყებს. "ამერიკელების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს," – ადგენს ედიქტი. ფატვას, ანუ მუსლიმური ედიქტის მიხედვით, საღვთო ომი გულისხმობს ერაყში ომს, ამერიკის ინტერესებისათვის დარტყმის მიყენებას და შეერთებული შტატებისა და მისი მომხრეების ეკონომიკურ ბოიკოტს.

■ ■ ■

**საუდის არაბეთი.** წამყვანმა საუდურმა გაზეთმა "ალ-ვათანმა" შაბათს დაბეჭდილ სტატიაში გააფრთხილა შეერთებული შტატები, რომ ერაყში ვაშინგტონის ნებისმიერი სახით ჩარევა ხელს შეუწყობს არაბული რადიკალიზმის აფეთქებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რაც, თავის მხრივ, ანტიტერორისტული ომის ჩაშლას გამოიწვევს. გაზეთი შეერთებული შტატების მიერ ერაყის ოკუპაციას პალესტინური ტერიტორიებიდან ისრაელის არმიის ნაწილების გამოყვანას უკავშირებს.

■ ■ ■

**გერმანია.** მიუნხენში, ნეონაცისტების დემონსტრაციისა და მემარცხენე რადიკალების შეტაკებისას, პოლიციამ 14 ადამიანი დააპატიმრა. მემარცხენეებმა სცადეს, გზა გადაეკეტათ ნეონაცისტების დემონსტრაციისათვის, რაც ხელჩართული ჩხუბით დასრულდა. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მსვლელობაში ათასამდე მემარჯვენე რადიკალი მონაწილეობდა, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა კუთხეს წარმოადგენდნენ. ნეონაცისტები პროტესტს გამოთქვამდნენ მიუნხენში გახსნილი ისტორიული დოკუმენტური ფოტოგამოფენის წინააღმდეგ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერის ვერმახტის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ეძღვნება.

■ ■ ■

**ჰავანა.** კუბის დედაქალაქში მიმდინარე ისტორიკოსთა სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც კარიბის კრიზისის 40 წლისთავს ეძღვნება, გამოამზეურეს საარქივო მასალები, რომლებიც 1962 წელს პრეზიდენტ კენედისა და ხრუშჩოვის სიძის - აჯუბეის შეხვედრას ეხება. სამეცნიერო კონფერენციაში თავად კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო იღებს მონაწილეობას, რომელიც კარიბის კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გახლდათ. 1962 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირმა კუბაზე ბირთვული რაკეტები განალაგა, რამაც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის მწვავე დაპირისპირება გამოიწვია.

# არ დაგვივიწყოთ!

*თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის ერთ-ერთ ლამაზეზოიან სახლში გაიმართა წარმოდგენა და კონცერტი, მოეწყო ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა. ამ ღონისძიების მონაწილენი არაპროფესიონალი მსახიობები, მომღერლები და მხატვრები იყვნენ.*

ლელა მარგიანი

მათ საერთო ტკივილი აერთიანებთ – ისინი, ყველანი, ფსიქიკურად დაავადებულები არიან. ამ ადამიანებმა, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის ხელშეწყობით, შექმნეს დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს პაციენტთა და ყოფილ პაციენტთა კავშირი", რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰამლეტ-ტრასტი" აფინანსებს. პროექტის განხორციელებაში ჩართულია ფსიქიკური დაავადების დიაგნოზის მქონე 43 ადამიანი. მათ, გრანტის საშუალებით, იქირავეს შენობა, შეიძინეს კომპიუტერები, პროექტის ფარგლებში სწავლობენ ინგლისურ ენას, კომპიუტერზე მუშაობას, პროექტების შედგენას, უტარდებათ მუსიკოთერაპია, ჰყავთ კონსულტანტი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი. ისინი სიხარულით მიდიან ნუცუბიძის 149-ში, სადაც ელოდებათ თბილი გარემო, აქვთ საშუალება, რომ ხატონ, იმღერონ, ქსოვონ, დადგან სპექტაკლები.

ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა დიდი სურვილია, შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება ფსიქიკურად დაავადებულთა მიმართ, დაიცვან მათი უფლებები, შექმნან სამუშაო ადგილები ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისთვის. პროექტის ფარგლებში მათ უკვე შექმნეს რამდენიმე სამუშაო ადგილი – მათი გამგეობა მხოლოდ პაციენტებისგან შედგება.

როგორც ცენტრის ფსიქოლოგმა და წარმოდგენის ხელმძღვანელმა ნინო ჭანტურიამ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, "მათი სურვილია, საზოგადოებამ გაიგოს, რომ ეს ადამიანები საშიში არ არიან, გვინდა, დავანახოთ, რომ ეს ნიჭიერი ხალხია – ხატავენ, მღერიან, ბატიკაზე მუშაობენ. ჩვენი დევიზია: ჩვენ, ყველას, - ჯანმრთელსაც და პაციენტსაც, - უფლება გვაქვს, ღირსეულად ვიცხოვროთ ამ ქვეყანაში".

ორგანიზაციის პრეს-რელიზში აღნიშნულია, რომ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში უამრავი ასეთი ორგანიზაციაა. ისინი იცავენ ფსიქიკურად დაავადებულთა უფლებებს, აკონტროლებენ პაციენტთა მკურნალობას. საქართველოში კი, ჯერჯერობით, ესაა ერთადერთი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია.

გვახსოვდეს, რომ ამ ორგანიზაციას თითოეული ჩვენგანისა და მთელი საზოგადოების თანადგომა და სიყვარული სჭირდება!

# თევდორე მღვდლის №10-ში მიწა ორი კვირის წინაც „იძრა"

*ბოლო დროს თბილისში თითქმის ყოველი ახალი სავაჭრო ობიექტის მშენებლობას მეზობლად მცხოვრებლებთან კონფლიქტი მოჰყვება.*

ნანა ქადაგიშვილი

უმრავლეს შემთხვევაში მოსახლეობის უკმაყოფილება გასაგებია, რადგან ახალი რესტორანი, სავაჭრო ცენტრი თუ პატარა ჯიხური ხან კორპუსებს შორის თავის დროზე გონივრულად დატოვებულ ფართს იწირავს, ხან ეზოს მობინადრეთა მიერ დარგულ ნარგავებს, ხან კი რომელიმე მოსახლის ისედაც მორყეული ბინის საყრდენ კედელს. თუმცა, როგორც წესი, მოსახლეობის ჩივილ-წუწუნი სავაჭრო ობიექტების მშენებლობისთვის გაშანშალებულ საბუთებს ვერაფერს აკლებს.

ცოტა ხნის წინათ ქალაქში მომრავლებული სავაჭრო ჯიხურების პრობლემამ თბილისის ვიცე-პრემიერიც შეაწუხა. წინადადებაც წამოაყენა - ქალაქის მიწის პრივატიზება დროებით ხომ არ შეგვეჩერებინაო, მაგრამ არქიტექტურის დეპარტამენტმა თავი შორს დაიჭირა – ისეთ კანონს ავამოქმედებთ, მიწა ჯიხურებისთვის აღარ გაიცემაო. წლეულს მშენებარე მაღაზია-ჯიხურებს დეპარტამენტს პირობის დარღვევად ვერ ჩავუთვლით, რადგან ეს ტერიტორიები შარშან გაიყიდა, გასულ წელს კი იგი არაფერს შეგვპირებია. წლეულს დეპარტამენტმა, შესაძლოა, მართლაც შეასრულოს დანაპირები, რადგან, საეჭვოა, ქალაქში გასაყიდი ტერიტორია დარჩენილიყო.

თევდორე მღვდლის №10-ში მცხოვრებთა და მათი სახლის კედლის გვერდით მშენებარე მაღაზიის მეპატრონეს შორის ატეხილი დავაც ტიპური შემთხვევაა. ტერიტორია, რომელზეც სავაჭრო ობიექტი შენდება, ცენტრალური სუპერმარკეტის წითელ ზოლშია მოქცეული. როგორც მაღაზიის მშენებლები მოსახლეობას უცხადებენ, მათ ეს ადგილი შარშან ბაზრის დირექტორისგან შეისყიდეს, თუმცა, ეს უკანასკნელი ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ ფართი, მხოლოდ და მხოლოდ, იჯარით გასცა. სუპერმარკეტის დირექტორის ნათქვამს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაც ადასტურებს. ასეა თუ ისე, სავაჭრო ობიექტის მშენებლებს პროექტი არქიტექტურის დეპარტამენტთან შარშანვე შეუთანხმებიათ და, როგორც გამგებლის მოადგილე ჯონი გურგენაშვილი ამბობს, ყველა საჭირო საბუთი წესრიგში აქვთ. მაღაზიის მშენებლობა ორი კვირის წინათ დაიწყო.

"ორი კვირაა, შეშინებულ ბავშვებს ვალერიანის წვეთებით ვასულიერებთ. სახლი ისე ზანზარებს, მიწისძვრა გეგონება, მაგრამ ეს კიდევ არაფერი - მშენებლებმა სახლის ისედაც მორყეული საყრდენი კედელი დაგვიზიანეს - კედელი დაიბზარა და, ყოველი მანქანის გავლისას, ოთახებში ბათქაში ცვივა. არქიტექტურის დეპარტამენტშივე გვითხრეს, გამორიცხული არ არის, მშენებლობამ კედელი ჩამოანგრიოს, თუმცა, ისიც შეიძლება, პირიქით, გაამაგროსო. "შეიძლებას" ხომ ვერ ვენდობით. მშენებლებს ვთხოვეთ, მაღაზია ჩვენი სახლისთვის 50 მეტრით მაინც დაეშორებინათ. სხვათა შორის, ბაზრის დირექტორმაც ურჩია, მოსახლეობას მოელაპარაკეო, მაგრამ უშედეგოდ. პროექტში 12 500 დოლარი გვაქვს გადახდილი და არაფერს შევცვლითო, განგვიცხადეს", – ჩივის მოსახლეობა.

დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა მშენებლების მოწესრიგებულ საბუთებს ვერაფერს უხერხებს და მოსახლეობას ექსპერტიზის ჩატარებას ჰპირდება. "სპეციალისტს გავგზავნით და ადგილზე დავადგენთ, მშენებლობა სახლისთვის მართლაც სახიფათოა თუ არა", – აცხადებს გამგებლის მოადგილე. მოსახლეობა კი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში ეძებს სამართალს. თუმცა, მოსამართლე სოსო ბერიშვილს 8 ოქტომბერს შეტანილი მათი მოთხოვნა არ დაუკმაყოფილებია - სარჩელში მოპასუხის ვინაობა და მისამართი მითითებული არ იყოო. თევდორე მღვდლის №10-ის მცხოვრებნი კიდევ ერთხელ სცდიან ბედს და ხელახლა, შესწორებულ სარჩელს შეიტანენ.

## მოკლედ

**თბილისი.** შპს „თბილწყალკანალი" სასმელი წყლის დავალიანების დაფარვაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს ჯანდაცვის 16 ობიექტთან. „თბილწყალკანალის" პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ ობიექტებს შორისაა ნევროლოგიის ინსტიტუტი, ფსიქიატრიული საავადმყოფო, სეფსისის ცენტრი და სხვები, რომელთა დავალიანება ბოლო ოთხ თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა და რომლებიც მიმდინარე გადასახადის გადახდასაც ვერ ახერხებენ. ამ მოლაპარაკებებში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროც მონაწილეობს.

„თბილწყალკანალში" აცხადებენ, რომ, მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, 16-ვე ობიექტს ორშაბათიდან წყალმომარაგებას შეუწყვეტენ. „თბილწყალკანალი" კი გარკვეული თანხის გადახდას ან მასზე საგარანტიო წერილის წარმოდგენას ითხოვს.

დღეისთვის თბილისში წყალმომარაგება შეწყვეტილი აქვს 85-მდე ობიექტს, რომელთა უმეტესობა საბიუჯეტო ორგანიზაციებია. **მედია-ნიუსი.**




## სამართალი

# მკვლელ სნაიპერს მთელი ამერიკა ეძებს

"ვაშინგტონელი სნაიპერის" მსხვერპლთა რიცხვი მატულობს. აშშ-ს პოლიცია და ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლები ფართომასშტაბიან ღონისძიებას ატარებენ მას შემდეგ, რაც პარასკევს, დილით კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა, ოღონდ ამჯერად ვირჯინიის შტატში.

სოფიკო ჩხაიძე



ვირჯინიის შტატი. პოლიცია მკვლელობის ადგილს ათვალიერებს

პოლიცია ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, რომ მკვლელი ნამდვილად "ვაშინგტონელი სნაიპერია", თუმცა, გამოძიება მაინც ბოლო ხანებში ვაშინგტონის მახლობლად მომხდარი შვიდი იდენტური მკვლელობის კონტექსტში მიმდინარეობს. მით უმეტეს, რომ მკვლელმა მსხვერპლს ვაშინგტონიდან სულ რაღაც 60 კმ-ის დაშორებით და თანაც კვლავაც ბენზინგასამართ სადგურზე ესროლა.

უკანასკნელი, მეშვიდე მკვლელობა, რომელთანაც უხილავი მსროლელის უშუალო კავშირი უკვე დადგენილია, ოთხშაბათს მოხდა. ვაშინგტონის ცენტრიდან 30 კილომეტრის დაშორებით, გარეუბან მანასასეში, ბენზინგასამართ სადგურზე მოკლული 53 წლის ინჟინრის - ენტონი დაუერის გვამიდან ამოღებული ტყვიის ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ისიც იმავე იარაღითაა მოკლული, რომლითაც დანარჩენი ექვსი ადამიანი.

მას შემდეგ კი, რაც იდუმალმა სნაიპერმა ვაშინგტონის გარეუბანში თავისი პირველი მსხვერპლი გამოასალმა სიცოცხლეს, უკვე ერთი კვირა გავიდა. იმ დღიდანვე მის საძებნელად 3 ათასი პოლიციელი, სპეციალური აგენტები და საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლები დაირაზმნენ. თუმცა, მან მაინც მოახერხა კიდევ ექვსი ადამიანის მოკვლა და ორის მძიმედ დაჭრა. დაჭრილთა შორისაა 13 წლის ბიჭი, რომლის მდგომარეობა კვლავაც კრიტიკულია, თუმცა – სტაბილური.

საბედისწერო სნაიპერს არც ერთი მკვლელობისას კვალი არ დაუტოვებია. არავის შეუმჩნევია იგი სროლის მომენტში და, მიუხედავად იმისა, რომ თვითმხილველები საეჭვო თეთრი მიკროავტობუსის შესახებ საუბრობენ, მანქანის ნომერი არავის დაუმახსოვრებია.

გამოძიებაში ჩართული 200-მდე სპეციალისტი სერიული მკვლელობების მოტივის 140-მდე ვერსიას ამუშავებს. ჯორჯ ბუშის მითითებით, გამოძიებაში ჩაერთნენ Secret Service-ის, მისი პირადი დაცვის თანამშრომლები. გამოძიებისთვის გამოსადეგი ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებისთვის დაწესებულმა ჯილდომ 350 ათას დოლარს მიაღწია. თანხა დღითიდღე იზრდება ამერიკის მოქალაქეების შემოწირულობების ხარჯზე. სულ ბოლოს 50 ათასი დოლარი გაიღო არიზონელმა ფერმერმა ჰოვარდ ჰილმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ ქუჩაში შვილი მოუკლეს. სხვადასხვაგვარი ინფორმაციის მისაწოდებლად სამართალდამცველ ორგანოებში უკვე 7500-მა ადამიანმა დარეკა. სამწუხაროდ, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია გამოძიებას ვერაფრით ეხმარება.

პოლიცია, რომელიც ბოლომდე ვერ გამორიცხავს, რომ მკვლელობებს რამდენიმე ადამიანი სჩადის, მაინც იმ აზრს უფრო ემხრობა, რომ საქმე ერთ კაცთან აქვს. გამოძიება დარწმუნებულია, რომ მკვლელი სრულიად შემთხვევით ადამიანებს ხოცავს. დაღუპულთა შორის არიან სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ასაკის, აღმსარებლობისა და კანის ფერის ადამიანები, რომელსაც ერთმანეთთან არაფერი ჰქონდათ საერთო. ექსპერტები გულმოდგინედ ცდილობენ მკვლელის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას და ფიქრობენ, რომ უცნობმა სნაიპერმა, რაღაც მიზეზით, გამოწვევა ესროლა საზოგადოებას და დაუსჯელობით იღებს სიამოვნებას.

გამომძიებლებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ვაშინგტონის გარეუბნებში მოქმედი უხილავი სნაიპერი პროფესიონალია. ის 0,223-კალიბრიან იარაღს ხმარობს, რომელსაც, ძირითადად, არმიის სნაიპერები იყენებენ. კერძოდ, ასეთი იარაღი შეიარაღებაში ჰქონდათ ამერიკელ სნაიპერებს ვიეტნამის ომის დროს.

ტერორიზმთან მებრძოლი სახელგანთქმული ქვედანაყოფის - Delta-ს ვეტერანი ერიკ ჰენი თვლის, რომ მკვლელი, სავარაუდოდ, მისი ყოფილი კოლეგაა, ადამიანი, რომელსაც მდიდარი და ძალზე სპეციფიკური სამხედრო გამოცდილება აქვს და რომელსაც ძალიან უყვარს იარაღი. **"მან, სამწუხაროდ, სწორად აირჩია იარაღი. ეს იდეალური ინსტრუმენტია იმ შავი საქმეებისთვის, რომლებსაც ახლა სჩადის",** -- ამბობს ჰენი.

ამჟამად ერიკ ჰენი სპეცრაზმებისა და პოლიციის სნაიპერებს წვრთნის. კაცი, რომელსაც პრესამ "მერილენდელი სერიული სნაიპერი" უწოდა, მისთვის მხოლოდ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის გამოცანა. რაც შეეხება ტექნიკას, ამ მხრივ მკვლელის მოქმედებები ჰენისთვის წვრილმანებამდეა ცნობილი. **"სუნთქვას შეიკრავს, წამით მოადუნებს კუნთებს და მხოლოდ შემდეგ გამოჰკრავს ხელს ჩახმახს",** – ამბობს ის.

მკვლელობების გამო ატეხილი პანიკის მიუხედავად, ვაშინგტონსა და მის შემოგარენში არ დახურულა არც სკოლები, არც სხვა სასწავლო დაწესებულებები. ერთადერთი, დამნაშავის დაკავებამდე სპორტული შეჯიბრებების ჩატარება გადაიდო. ამასობაში, გუშინ ამერიკაში კოლუმბის დღის აღსანიშნავად გრძელი უიკ-ენდის ზეიმი დაიწყო – მთელი ქვეყანა სამი დღე ისვენებს. ვაშინგტონში კი სრულიად ამერიკული წიგნის ფესტივალის ჩატარება იგეგმება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების მეუღლეები - ლორა ბუში და ლუდმილა პუტინა. ამ დღესასწაულისთვის ვაშინგტონში აქამდე არნახული უსაფრთხოების ზომები მიიღეს.

# ლიფტმა ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა

თამარ კაციტაძე

გლდანის მეხუთე მიკრორაიონში ორი ახალგაზრდა დაიღუპა. მიზეზი ტექნიკურად გაუმართავი ლიფტი გახდა.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, დაახლოებით საღამოს რვა საათზე, ელგუჯა ზირაქაშვილს თანამშრომლები – ოთარ არაზაშვილი და ხვიჩა მკალავიშვილი ესტუმრნენ. რამდენიმესაათიანი ქეიფის შემდეგ სტუმრები დაემშვიდობნენ მასპინძელს და ლიფტი გამოიძახეს. ზირაქიშვილმა სტუმრები სადარბაზომდე გააცილა, მაგრამ ამ დროს ბავშვს ტირილი დაუწყია და იგი სახლში შებრუნებულა. რამდენიმე წუთში მასპინძელს საშინელი ბრახუნის ხმა გაუგია. ხმაურზე მეზობლებიც გამოვიდნენ. პირველ სართულზე ლიფტის კარები გააღეს და დაინახეს, რომ ზირაქაშვილის ორივე სტუმარი გარდაცვლილი იყო.

გამოძიების ვერსიით, სტუმრებმა ლიფტი რომ გამოიძახეს, კარი გაიღო, მაგრამ ლიფტმა ზევით გააგრძელა სვლა. ნასვამმა არაზაშვილმა და მკალავიშვილმა კი ვერ შეამჩნიეს, რომ კაბინა არ იყო გაჩერებული და პირდაპირ შევიდნენ...

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საქმეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა იძიებს. როგორც გამომძიებელმა დავით ხიზანიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, დანიშნულია ტექნიკური ექსპერტიზა, რათა დადგინდეს, იყო თუ არა ლიფტი ტექნიკურად გამართული.

იმ შემთხვევაში, თუ გაირკვა, რომ აღნიშნული კორპუსის მოსახლეობას "თბილლიფტთან" ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, მაშინ მომხდარზე პასუხისმგებლობა დაეკისრებათ "თბილლიფტის" იმ თანამშრომლებს, რომელთა უპასუხისმგებლობის გამო, ლიფტი გამართულად არ მუშაობდა და ორი ახალგაზრდა დაიღუპა. თუმცა, როგორც გამომძიებელმა გვითხრა, მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ, ჯერჯერობით, ასეთი ხელშეკრულების არსებობა არ გამოკვეთილა. თუ არ არსებობს მოსახლეობასა და "თბილლიფტს" შორის ოფიციალური დოკუმენტი, გამოდის, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობაც არავის დაეკისრება.

პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას გაართულებს ისიც, რომ გარდაცვლილის ახლობლებმა გამოძიებას არ მისცეს ექსპერტიზის ჩატარების უფლება, რათა დადგენილიყო დაღუპვის რეალური მიზეზი. არადა, თუ ვერ დადგინდა, რომ ახალგაზრდები ჩავარდნისგან მიღებული ტრავმით არიან გარდაცვლილები, ამ შემთხვევაშიც სამართალდამცველებს, კანონით, ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება გაუჭირდებათ.

# ჰეროინის პანკისური წარმომავლობა ჯერ კიდევ საეჭვოა

*თბილისში ნარკოტიკების მყიდველ-გამყიდველთა ჯგუფი დააკავეს. ოპერაციის სერიოზულობაზე ისიც მეტყველებს, რომ საქმეში ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლები ჩაერთვნენ. მეტიც, სწორედ მათ მიაწოდეს შესაბამისი ინფორმაცია ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ბიუროს. ერთობლივად ჩატარებული ოპერაციის შედეგად, თბილისის ცენტრში, მელიქიშვილის გამზირზე, სასტუმრო "საქართველოს" მიმდებარე ტერიტორიაზე ნარკოტიკის ყიდვიდან რამდენიმე წუთში დააკავეს ვინმე ილია პიტახია. სულ ცოტა ხანში კი – ნუნუ ქათამაშვილი.*

პოლიციამ წინასწარვე იცოდა, რომ ამ ორ ადამიანს შორის გარიგება შედგებოდა, თუმცა, განზრახ არ დააკავეს ისინი ერთად, უშუალოდ იმ დროს, როცა პიტახია ქათამაშვილისგან ჰეროინს ყიდულობდა. ცალ-ცალკე დაკავებულებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღიარეს, რომ იცნობდნენ ერთმანეთს და ერთგვარი საქმიანი ურთიერთობაც ჰქონდათ. ანუ, პიტახიამ ქათამაშვილისგან ნარკოტიკი იყიდა. თავად პიტახია, პოლიციელთა თქმით, ცნობილი ნარკომანია, ადრე ნასამართლევი. დაკავებისას იგი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იყო და ჰეროინიც აღმოაჩნდა, სულ რაღაც 0,08 გრამი. ქათამაშვილს თან ცოტა უფრო მეტი ნარკოტიკი ჰქონდა – 0,11 გრამი, ოღონდ გასაყიდად დაფასოებული. უკვე დოლიძის ქუჩაზე, ქათამაშვილის ნაქირავებ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას, პოლიციამ სამზარეულოს კარადის ქვეშ ჰეროინის სერიოზული რაოდენობა – 16 ე.წ. "ჩეკად" დაფასოებული 6 გრამამდე ნარკოტიკი აღმოაჩინა. დაკითხვისას კი ქალმა ნარკოტიკების მიმწოდებელი დაასახელა, უფრო ზუსტად, სამართალდამცველებს მისი ადგილსამყოფელი მიასწავლა.

**"ოპერაცია სასწრაფოდ დავგეგმეთ და ნარკორეალიზატორის დასაკავებლად გავემართეთ,** -- გვიამბობს ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსი გოდერძი ჩახსელიანი, -- **ვიცოდით, რომ ობიექტს ავჭალაში, ერთ-ერთი კორპუსის მახლობლად ვნახავდით. ასეც მოხდა. 40-ოდე წლის ქალბატონს ჩვენი თანამშრომლები ჩვეულებრივი გამვლელებივით მისდევდნენ უკან. ისიც მშვიდად მიდიოდა, ჩვენი ინფორმაციის თანახმად, ნარკოტიკების ვილაცისთვის გადასაცემად. როცა ადევნებულებმა მას უეცრად ვინაობა გაუმხილეს, ქალმა გაქცევა და ნარკოტიკის გადაყრა სცადა. ვერ მოახერხა. მას თან აღმოაჩნდა 6,6 გრამი ჰეროინი, დაფასოებული და გასაყიდად გამზადებული. მაშინვე ჩავატარეთ ჩხრეკა მის ბინაში, რომელიც იქვე, დაკავების ადგილის მახლობლად მდებარეობდა. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს ქალი სიღნაღის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს, თბილისში ბინა კი, უბრალოდ, ნაქირავები აქვს. ჩხრეკისას ბინიდან ისე მოვდიოდით, რომ ვერაფერი ვნახეთ. უკვე ოქმს ვადგენდი, როცა ერთ-ერთმა თანამშრომელმა კედელსა და კარადას შორის შავი ფირფიტა შენიშნა და გამოსწია. ამის გამოწევა და იატაკზე რაღაც შეკვრის დავარდნა ერთი იყო. ჰეროინი აღმოჩნდა, მთელი 15 გრამი".**

დაკავებულმა ქალმა პოლიციის შეცდომაში შეყვანა სცადა და სხვა გვარით გაეცნო. მხოლოდ მოგვიანებით გაარკვიეს მისი ნამდვილი ვინაობა – ნინო ბეგიაშვილი, სამართალდამცველთა თქმით, ცნობილი "ნარკობარიგაა". ბეგიაშვილმა კატეგორიულად უარყო ნუნუ ქათამაშვილთან ნაცნობობა. თუმცა კი დაადასტურა, რომ მასთან ნაპოვნი ჰეროინი ნამდვილად მას ეკუთვნოდა, მაგრამ, ამასთან ამტკიცებდა, თავად მომხმარებელი ვარ, სიმსივნე მაქვს და გაუსაძლისი ტკივილისგან ეს თუ მშველისო.

ამ ოპერაციის შედეგად, პოლიციამ, საერთო ჯამში, 27,72 გრ. ჰეროინი ამოიღო. ქათამაშვილსა და ბეგიაშვილს სასამართლომ უკვე შეუფარდა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა, ილია პიტახია კი საქმის გამოძიების დასრულებამდე პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლეს. გამოძიებას ჯერ არ დაუდგენია, მართლაც არის თუ არა იგი ნარკოტიკების მომხმარებელი. ამის დასადგენად მას ნარკოლოგიური შემოწმება უნდა ჩაუტარდეს. ამასთან, გამოძიებას მისი კავშირების, ანუ იმის დადგენა მოუწევს, საიდან მოაქვს ქალბატონს სარეალიზაციო ჰეროინი. თავად ბეგიაშვილის თქმით, მისგან ამოღებული ნარკოტიკი მან პირადი მოხმარებისთვის პანკისიდან ჩამოსული უცნობი ქისტის თუ ჩეჩნისგან იყიდა. ასეთი ჩვენების მიუხედავად, გამოძიება ჯერ კიდევ ნაადრევად მიიჩნევს ჰეროინის პანკისური წარმომავლობის მტკიცებას.

www.24hours.ge 24 B

# წერენ ერთს, რეალობა კი სხვაა

## რუსები მეგობრებთან ჩამოვიდნენ

*ბოლო დღეებში სპორტის გულშემატკივარი საქართველო-რუსეთის საფეხბურთო და სარაგბო დაპირისპირებით ცხოვრობს. რუსებთან ნებისმიერი სპორტული დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, მაგრამ იმის მსგავსი, რაც ახლა ხდება, არასდროს ყოფილა. მატჩისადმი ინტერესი საქართველო-რუსეთს შორის ბოლო დროს განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ერთიორად გაამძაფრა. ინტერესი დიდია რუსეთშიც. ამის დასტურია რუსეთიდან წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტიც.*

გიგა გურასაშვილი

გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გაიმართა. სტუმრებმა ვიზიტის პირველი დღის შთაბეჭდილებებით დაიწყეს საუბარი და იმედი გამოთქვეს, რომ ხვალინდელი დღე მასზე უკეთესი იქნებოდა. ამაში ჩვენი სტუმრები, ალბათ, ანგარიშს გულისხმობდნენ. სტუმართა შორის, ბუნებრივია, ყველაზე პოპულარული იყო რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვიაჩესლავ ფეტისოვი. ვიდრე პრესკონფერენცია დაიწყებოდა, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა საპატიო სტუმარს საჩუქრად გადასცა რუსი კოლეგის სახელით დამშვენებული საქართველოს ნაკრების მაისურა. კმაყოფილმა ფეტისოვმა პირობა დადო, რომ შინ დაბრუნებისთანავე მაისურას საკუთარ მუზეუმში მიუჩენს ადგილს და მის მდიდარ კოლექციაში ერთ-ერთი გამორჩეული ექსპონატი იქნება. პრესკონფერენციაზე ხელცარიელი არც ჩვენი სტუმრები მისულან. ფეტისოვმა მეძმარიაშვილს რუსი ბავშვების მიერ საფეხბურთო თემაზე შექმნილი ნახატები გადასცა, აქედან ერთი - პირადად მას, მეორე კი - საქართველოს ნაკრებისთვის. მესამე ნახატი, როგორც ფეტისოვმა განგვიმარტა, თანამემამულეთა ნაკრებისთვის ჰქონია. გარდა ამისა, რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მეძმარიაშვილი შეზღუდული რაოდენობით გამოცემული წიგნით –"ჩვენი პუშკინით" დაასაჩუქრა. საჩუქრებს შორის რუსებისთვის ყველაზე ძვირფასი, ალბათ, დავით ყიფიანის საერთაშორისო ფონდისა და ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის – GWS-ის მიერ სტუმარი ფეხბურთელებისა და დელეგაციის წევრთათვის სუვენირის სახით დაწესებული პრემიალური ასორტიმენტის - "თამადის" ღვინოებია. პრესკონფერენციაზე მრავლად იყვნენ საქართველოს სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელები თუ ვეტერანი სპორტსმენები. ყველა სიამოვნებით იხსენებდა ძველ თბილ ურთიერთობებს და ძველსა და ახალ სპორტულ ცხოვრებას შორის პარალელს ავლებდა. ყველაზე დიდი საჩუქარი სამბოს ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ექვთიმიშვილს ერგო - მან რუსი კოლეგის, სერგეი ელისეევისგან ორი საჭიდაო ხალიჩის ჩუქების დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო. გამოითქვა სურვილი, გაღრმავდეს თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების სპორტულ სტრუქტურებთან. მოეწყოს ერთობლივი ვარჯიშები. ამაზე ფეტისოვმა განაცხადა, რომ რუსეთის მხარე მზადაა, საქართველოში რამდენიმე სპორტული ბაზა შეაკეთოს, ან სულაც ახალი ააგოს, რაც კარგი იქნება როგორც რუსი, ისე ქართველი სპორტსმენებისთვის. ამის შემდეგ ჟურნალისტებთან გასაუბრების დროც დადგა.



ვიაჩესლავ ფეტისოვი და ირაკლი მეძმარიაშვილი

**- რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ აქ თავს და, საერთოდ, რამე პრობლემა ხომ არ შეგქმნიათ?**

**ვიაჩესლავ ფეტისოვი:** "ვითარება არც ერთი წუთით არ გართულებულა. როდესაც ჩვენი თბილისში ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი დადგა, იგი მაშინვე დაიხურა. ერთი სიტყვით, ეს საკითხი სერიოზულად არც განგვიხილავს. ვალერი გაზაევთან და ვიაჩესლავ კოლოსკოვთან საუბრისას გადავწყვიტეთ, რომ საშიში არაფერია. და საერთოდ, როდესაც აქ ჩამოვედით, სულ სხვა სურათი დაგვხვდა. გაზეთები ერთს წერენ, რეალობა კი სულ სხვაა. ჩვენ აქ მეგობრებთან ვართ.

**- საქართველოსთან მატჩზე დასწრება გამონაკლისია თუ რუსეთის სხვა თამაშებსაც დაესწრებით?**

- ირლანდიასთან მატჩსაც დავესწარი, თუმცა, დღევანდელ მატჩზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ შეხვედრა კარგი შედეგით დასრულდება და კარგადაც ითამაშებენ, მაშინ სხვა მატჩებსაც დავესწრები.

**- ვის გულშემატკივრობთ?**

- რა თქმა უნდა, რუსეთის ნაკრებს. ეს სპორტია. ყველამ საკუთარ ქვეყანას უნდა უქომაგოს. იმედია, ლამაზ ფეხბურთს ვნახავთ.

იგივე კითხვა დავუსვით რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს მიხეილ მამიაშვილსაც: "როდესაც ამ შეკითხვას მისვამენ, გაორების მაგვარი რამ მემართება. არ მინდა, ტრაფარეტულად გამომივიდეს, მაგრამ ასე ვფიქრობ და რა ვქნა: დე, ძლიერმა გაიმარჯვოს. ძალიან მინდა, რომ ქართველი გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩეს, მაგრამ... მაინც ასე ვიტყვი: დე, ძლიერმა გაიმარჯვოს.

პრესკონფერენციის შემდეგ რუსეთის დელეგაციამ დავით ყიფიანის საფლავი მოინახულა.

რაგბი

# სერგეი სერგეევი: „გადამწყვეტი დამრტყმელთა სიზუსტე იქნება"

*დღეს ეროვნულ სტადიონზე გაირკვევა მომავალ წელს ავსტრალიაში გასამართი მსოფლიო თასის გათამაშების კიდევ ერთი მონაწილის ვინაობა. კანდიდატი ორია – საქართველო და რუსეთი. დღევანდელი მატჩის მონაწილეებმა გუშინ ეროვნულ სტადიონზე ბოლო ვარჯიში გამართეს.*

პაატა თოთაძე

სტადიონზე პირველად ქართველი მორაგბეები შევიდნენ. რუსებმა მოითხოვეს, მატჩის დაწყების დროს ევარჯიშათ. რაკი ამ შემთხვევაში უპირატესობა სტუმრებს ენიჭებათ, ქართველებმაც, როგორც ეს წინა დღეებში ხდებოდა, ამჯერადაც დილის 11 საათზე ივარჯიშეს. საათნახევრის განმავლობაში დღევანდელი მატჩის თხუთმეტი მონაწილე სხვადასხვა კომბინაციას ამუშავებდა. "მოწინააღმდეგედ" კი სათადარიგოები ჰყავდათ. თამაშის შემდეგ მორკინალებმა ცალკე გააგრძელეს ვარჯიში, უკანახაზელები კი დარტყმებში ვარჯიშობდნენ. რომ გითხრათ, ჩვენ ბიჭებს ყველაფერი უნაკლოდ გამოსდიოდათ-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ, იმედია, დღეს ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც საჭიროა.

მეტოქემ ქართველთა ვარჯიშის დასრულებიდან, დაახლოებით, საათნახევრის შემდეგ ივარჯიშა. გახურების შემდეგ ჯეიმს შტოფბერგმა გამოყო ის თხუთმეტი, რომელთაც, სავარაუდოდ, დღეს მოუწევთ სასტარტო შემადგენლობაში გასვლა. ერთადერთი, - მურატ უამბაევი არ ვარჯიშობდა. გარუსებული ყაზახი მუცლის ტკივილმა შეაწუხა და ექიმის დახმარება დასჭირდა. მიუხედავად ამისა, უამბაევი დღეს აუცილებლად ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ასე განუცხადა "24 საათს" ალექსანდრ პერვუხინმა. ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული რუსთა 22-კაციანი შემადგენლობა. პერვუხინის თქმით, მოთამაშეთა ვინაობა დღეს გაირკვევა, როცა ნაკრების ექიმი თითოეულ მოთამაშეს შეამოწმებს. ადრეც იგრძნობოდა, გუშინ კი დავრწმუნდი, რომ სერგეი სერგეევი გუნდში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს - ის ხომ დღეს საუკეთესო რუსი მორაგბეა. ვარჯიშზე რამდენიმე თანაგუნდელი დატუქსა, ვარჯიშის შემდეგაც მამა-მარჩენალივით იქცეოდა. ყოველივე ამან გადამაწყვეტინა, მომავლ მატჩზე მას გავსაუბრებოდი.



უძლიერესი რუსი მორაგბეები: სერგეევი და გრაჩოვი

"მე არაერთი ქართველი მეგობარი მყავს საქრთველოშიც, რუსეთშიც და საფრანგეთშიც. რომ იტყვიან, ქართველთა მეგობარი ვარ. გული მწყდება, ერთმანეთს ჩვენ რომ შევხვდით. ძალიან მინდა, ჩვენც და თქვენც მსოფლიო თასზე ვითამაშოთ. ამის ორი გზა არსებობს. ერთი მოკლეა და ხვალ მიგვიყვანს მიზნამდე, მეორე კი - გრძელი. ბუნებრივია, მე მინდა, ჩვენ პირველ გზას დავადგეთ. ვნახოთ, რა გამოვა. თუმცა, არც რეპეშაჟში მოხვედრილს აქვს ავსტრალიაში წასვლის პატარა შანსი...

დღეს რუსულ რაგბის, როგორც არასდროს, ისე სჭირდება გამარჯვება. ამ მხრივ ჩვენი გუნდები ერთნაირ დღეში არიან. ყურადღებით განებივრებულები არც ერთი არ ვართ და, უნდა ვეცადოთ, სახელმწიფოს ყურადღება მივიქციოთ. ამის საუკეთესო საშუალება კი მსოფლიო თასზე მოხვედრაა...

რამდენიმე ვიდეოფირი ვნახეთ ქართველთა მონაწილეობით. თუმცა, ეს დიდ საჭიროებას არც წარმოადგენდა, ჩვენ ხომ ისედაც კარგად ვიცნობთ საქართველოს ნაკრებს. თქვენი შერკინების სიძლიერის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომ მწვრთნელები ჩვენს შერკინებას აქცევდნენ დიდ ყურადღებას. ვფიქრობ, მატჩი თანაბარი იქნება. შესაძლოა, ყველაფერი საჯარიმოებმა გადაწყვიტოს. ასეთი მატჩები ლელოების სიუხვით არ გამოირჩევა, გადამწყვეტი, ალბათ, დამრტყმელთა სიზუსტე იქნება".

# ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები

მეორე ტური.

**პირველი ჯგუფი:**
მალტა - ისრაელი 0:2
საფრანგეთი - სლოვენია 5:0

**მეორე ჯგუფი:**
რუმინეთი - ნორვეგია 0:1
დანია - ლუქსემბურგი 2:0

**მესამე ჯგუფი:**
მოლდოვა - ჩეხეთი 0:2
ბელარუსი - ავსტრია 0:2

**მეოთხე ჯგუფი:**
შვედეთი - უნგრეთი 1:1
პოლონეთი - ლატვია 0:1

**მეხუთე ჯგუფი:**
ისლანდია - შოტლანდია 0:2
ლიტვა - ფარერები 2:0

**მეექვსე ჯგუფი:**
უკრაინა - საბერძნეთი 2:0
ესპანეთი - ჩრდ. ირლანდია 3:0

**მეშვიდე ჯგუფი:**
მაკედონია - თურქეთი 1:2
სლოვაკეთი - ინგლისი 1:2

**მერვე ჯგუფი:**
ბულგარეთი - ხორვატია 2:0
ანდორა - ბელგია 0:1

**მეცხრე ჯგუფი:**
ფინეთი - აზერბაიჯანი 3:0
იტალია - იუგოსლავია 1:1

**მეათე ჯგუფი:**
ალბანეთი - შვეიცარია 1:1

## მოკლედ

**ფორმულა 1.** დღეს იაპონიაში დასრულდება ფორმულა 1-ის წლევანდელი სეზონი. "სუძუკის" ტრასაზე საკვალიფიკაციო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა თავისი 50-ე პოული (კვალიფიკაცია) მოიგო. ამისთვის გერმანელ პილოტს 9 სწრაფი წრის გავლა დასჭირდა. საკვალიფიკაციო რბოლებს გართულების გარეშე არ ჩაუვლია. ალან მაკნიშის ავარიის გამო, რბოლა ერთი საათით შეწყდა. მართალია, მაკნიში დღევანდელ რბოლაზე დაუშვეს, მაგრამ გამოვა თუ არა იგი ტრასაზე, ამას ექიმები გადაწყვეტენ. აღსანიშნავია, რომ იაპონიის გრან-პრი ბოლო ორი წლის მანძილზე მიხაელ შუმახერმა მოიგო.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელმა, ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა გადაწყვიტა, დაისვენოს. ჰიუიტი უარს აცხადებს მასტერსის ტურნირში გამოსვლაზე, რომელიც ხვალ მადრიდში დაიწყება. ამის მიზეზია ვირუსული გრიპი, რომელიც წინა კვირას ტოკიოში შეეყარა. "ექიმებმა ლეიტონს დასვენება ურჩიეს. ის ორი კვირის შემდეგ ჩადგება მწყობრში და პარიზში, მასტერსის თასზე ითამაშებს", - განაცხადა ჰიუიტის აგენტმა ტომ როსმა.

■ ■ ■

**კრივი.** მაიკ ტაისონი, რომელიც 8 ივნისს მემფისში ლენოქს ლუისთან დამარცხდა, ახალ წლამდე გამოვა რინგზე. ეს განაცხადა მომავალი მატჩის ორგანიზატორმა და პრომოუტერმა დონ ჩერჯინმა. ჩერჯინის თქმით, მას აქტიური მოლაპარაკება ჰქონდა "რკინის მაიკის" წარმომადგენელ შენი ფინკელთან და მის მომავალ მეტოქესთან, კლიფორდ ეტიენთან, რომელიც კრივის სამყაროში "შავი ხარის" სახელით არის ცნობილი. ჩერჯინმა აღნიშნა, რომ, წინასწარი მოლაპარაკებით, ბრძოლა 15 დეკემბერს საკრამენტოში გაიმართება. რაც შეეხება ტაისონისა და ლუისის შესაძლო მატჩს, ჩერჯინის განმარტებით, ნაკლებად სავარაუდოა, ტაისონს კალიფორნიაში ბრძოლის ლიცენზია მისცენ, - იმის მიუხედავად, რომ მემფისში გამართული ბრძოლის დროს "რკინის მაიკი" სამაგალითოდ იქცეოდა.

■ ■ ■

**ფრენბურთი.** არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალისტები გამოვლინდნენ. ტურნირის მთავარ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან რუსეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები. რუსები იმედოვნებენ, რომ ისტორია გამეორდება, ანუ გამარჯვება მათ დარჩებათ. საქმე ის არის, რომ ყოფილი საბჭოთა ნაკრები, უკანასკნელად ოცი წლის წინათ, სწორედ ბუენოს-აირესში გახდა ჩემპიონი, ფინალში კი სწორედ ბრაზილიის გუნდი დაამარცხა.

რაც შეეხება ნახევარფინალურ შეხვედრებს, რუსებმა ხუთსეტიან დაძაბულ ბრძოლაში საფრანგეთის ნაკრები დაამარცხეს - 3:2, ხოლო კოპა კაბანამ შედარებით იოლად - 3:1 მოუგო იუგოსლავიის ნაკრებს. გუშინ, გვიან ღამით, ფრანგებსა და "იუგებს" შორის მესამე ადგილისთვის მატჩი გაიმართებოდა. მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ბრძოლაში არგენტინის ნაკრებმა საბერძნეთის გუნდს კაპიტულაცია გამოაცხადებინა - 3:0 ტურნირის მასპინძელთა სასარგებლოდ.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** მეოთხე პარტია მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკსა და კომპიუტერულ პროგრამა "დიპ ფრიტცს" შორის, 41-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა და ანგარიში გახდა 3:1 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. გათამაშდა დედოფლების გამბიტი. მხარეებმა ცენტრალური ფიგურები სწრაფად გაცვალეს, დედოფლებიც ზედ მიაყოლეს და მსოფლიო ჩემპიონმა ორი კუს უპირატესობა მიიღო. ამ უპირატესობის გაზრდის მიზნით, ერთგვარი ინიციატივის შესაქმნელად, ერთი კუ მეტოქეს დაუთმო. ბრძოლა ეტლების ენდშპილში გაგრძელდა. დოქტორ ტარაშის შენიშვნისა არ იყოს, ასეთი პოზიცია ხშირად ყაიმით მთავრდება. გამონაკლისი არც ეს შემთხვევა აღმოჩნდა და მეტოქეები დაზავდნენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის ამასწინანდელ შეხვედრაში "პსვ ეინდჰოვენის" ფანებმა რასისტული შეძახილებით შეამკეს ლონდონის "არსენალის" ფორვარდი ტიერი ანრი, რისთვისაც უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტმა კლუბი 20,5 ათასი ევროთი დააჯარიმა. ანალოგიური სცენა მოუწყვეს მოსკოვის "ლოკომოტივის" შავკანიან ფეხბურთელებს ბრიუსელში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბერლინის "ჰერტას" მცველს ანდრეას ნოინდორფს 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. იგი უეფა-ს თასის მატჩებს გამოტოვებს. ასეთი სასჯელი მან უეფა-ს თასის შეხვედრაში დაიმსახურა, როცა "აბერდინის" ფეხბურთელს თავი დაარტყა. ნოინდორფის გარდა, კლუბიც დაისაჯა. მას 10 000 შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიურმა "რომამ" განაცხადა, რომ სურს, ესპანეთის "ვალენსიას" ფორვარდი ჯონ კარეუ შეიძინოს. თუმცა, რომაელები ფეხბურთელის აგენტს პერ ფლოდს ჯერ არ დაკავშირებიან. ამჟამად "რომა" აქტიურად ეძებს არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტას შემცვლელს, რომელიც სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს. კარეუს ბატისტუტას შეცვლა შეუძლია, მაგრამ, ფლოდის თქმით, ეს მხოლოდ ჭორია, რომელიც იტალიელმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სერიოზული საჯარიმო სანქციები მიიღო ესპანეთის "სევილიამ". ქალაქურ დერბიში "ბეტისის" წინააღმდეგ უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. რადიკალთა ჯგუფმა ჟურნალისტი და მაყურებელი გალახა, გადავიდა მინდორზე და "ბეტისის" მეკარეს ტონი პრატსს შეუტია. პოლიციამ ინციდენტი ჩაახშო, მაგრამ "სევილია" ვერ გადარჩა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კლუბს მკაცრი ვერდიქტი გამოუტანა. "სევილია" ოთხ საშინაო მატჩს მაყურებლის გარეშე ჩაატარებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სამხრეთ აფრიკის პოლიცია აგროვებს მტკიცებულებებს "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის სერ ალექს ფერგიუსონის წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ ვინმე ქალბატონმა ნინა კირსტენმა განაცხადა, თითქოს ფერგიუსონი მის წინაშე არაჯენტლმენურად მოიქცა. ქალბატონის თქმით, ვიღაც ინგლისელი ბიზნესმენი მას იოჰანესბურგის იპოდრომთან თავს დაესხა. ადგილობრივი პოლიცია კი, რომლის განცხადებითაც მავანი ბიზნესმენი სწორედ ფერგიუსონი იყო, მტკიცებულებებს აგროვებს. ალექს ფერგიუსონის ადვოკატმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მისი კლიენტი უკანონოდ არ მოქცეულა და ძალიან გაოცდება, თუ ამ საქმესთან დაკავშირებით ფერგიუსონს ბრალდებას წაუყენებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სპორტულმა ექიმებმა ფეხბურთელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა დაიწყეს. ფიფა-ს სამედიცინო კომისიის თავმჯდომარის დოქტორ მიშელ დ`ჰუგეს თქმით, ამ მიზნით 29 ოქტომბერს მედიკოსთა კოლექტივი შეიკრიბება და დაადგენს ფეხბურთელთა დაღლილობის კრიტერიუმებს. დ`ჰუგეს ვარაუდით, ფეხბურთელის მაქსიმალური შესაძლებლობა სეზონში 55-60 თამაშია. თუმცა, ზუსტი დიაგნოზი ავტორიტეტულმა ექსპერტებმა უნდა დასვან. "ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ოფიციალურად დადგინდეს ფეხბურთელთა შესაძლებლობების მაქსიმუმი, რათა მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქროს. ფიფა-ს აღმასკომის წევრმა მიშელ პლატინიმ მხარი დაუჭირა "საფეხბურთო ლიმიტის" დაწესების იდეას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "იფსვიჩ თაუნი" მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. ჯოჯრ ბერლი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მიზეზი - გუნდის არადამაჯერებელი თამაში, რის გამოც კლუბი ინგლისის პირველ დივიზიონში დაქვეითდა. ბოლო ათ შეხვედრაში "იფსვიჩმა" მხოლოდ სამი მოიგო. უკანასკნელ ტურში კი "გრიმსბიმ" საერთოდ გააბითურა - 0:3. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეროვნულ პირველობაზე ჩავარდნის მიუხედავად კლუბმა მოახერხა იუგოსლავიური "სარტიდის" დამარცხება და შემდეგ ეტაპზე გასვლა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტურინის "იუვენტუსის" ნახევარმცველმა ჯანლუკა პესოტომ კლუბთან 2005 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი. ახალი კონტრაქტის პირობები არ გამომზეურებულა, თუმცა ფეხბურთელი აცხადებს, რომ იგი ძველი ხელშეკრულებისგან ბევრად არ განსხვავდება. "კონტრაქტის პირობებით კმაყოფილი ვარ დ როგორც ჩანს სპორტულ კარიერასაც ტურინში დავასრულებ" - განაცხადა პესოტომ.

ნობელი 2002

# ჯიმი კარტერი, ტროას ცხენი, ბონო და მშვიდობა

*11 ოქტომბერს ჯიმი კარტერმა ჩვეულებრივზე ნახევარი საათით ადრე გაიღვიძა. თუმცა, არ უნანია. დილის ხუთის ნახევარზე სტოკჰოლმიდან მიღებული სატელეფონო ზარით სასიხარულო ინფორმაცია შეიტყო – ის 2002 წლის მშვიდობის ნობელის ლაურეატი გახდა. ხუთკაციანმა კომისიამ 156 კანდიდატში ჯიმი კარტერი გამოარჩია. "ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისა და ეკონომიკურ-სოციალური განვითარებისთვის საჭირო გზების ძიებისთვის, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის გავრცობისთვის" – ამ დამსახურებათა გამო 78 წლის კარტერი ნობელის პრესტიჟული პრემიით დაჯილდოვდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კარტერი მშვიდობის ნობელის კანდიდატი ადრეც იყო. ჯერ კიდევ პრეზიდენტობის წლებში, ის კემპ დევიდის მოლაპარაკებების გამართვისთვის დააფასეს. ახლა უკვე რეალურად გამარჯვებულ ექს-პრეზიდენტს პრიზს 10 დეკემბერს, ოსლოს მერიის შენობაში გამართულ ცერემონიალზე გადასცემენ.*

თამარ ბაბუაძე

ერთი სიტყვით, თითქოს, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ მშვიდობის ნობელის გაცემიდან რამდენიმე საათში რუსულმა მედიამ სკანდალური უწოდა ერთ მართლაც ნიშანდობლივ გარემოებას. საუბარია ნობელის კომისიის თავმჯდომარის გუნარ ბერგეს განცხადებაზე. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა: "იმ ფონზე, როცა გაისმის ძალის გამოყენების მუქარები, კარტერი საკუთარ პრინციპებს არ ღალატობს და აცხადებს, რომ კონფლიქტები მოლაპარაკებებითა და მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობით უნდა გადაიჭრას. ამიტომ კარტერის დაჯილდოების ფაქტი შეიძლება გავიგოთ, როგორც აშშ-ს ადმინისტრაციის ანტი-ერაყული პოლიტიკის კრიტიკა".

როგორც ხედავთ, ბერგემ, ნობელის ინსტიტუტის სახელით, ერაყის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო ოპერაცია გააპროტესტა. მართლაც, ექს-პრეზიდენტს ერაყში სამხედრო დაპირისპირების შესახებ ძალზე გამოკვეთილი აზრი აქვს. ის თითოეული საერთაშორისო კონფლიქტის (მათ შორის, ერაყის პრობლემაც იგულისხმება) მშვიდობიანად გადაწყვეტის მომხრეა.

ბერგეს განცხადებას გამოეხმაურა დასავლური მედიაც. მართალია, ინციდენტისთვის სკანდალურის შეფასება დასავლეთელ ჟურნალისტებს არ მიუნიჭებიათ, მაგრამ აღნიშნეს, რომ კარტერის არჩევა ბუშის მწვავე გაკრიტიკებას ნიშნავდა. "ნიუ იორკ ტაიმსის" პუბლიკაციაშიც საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ნობელის კომისიამ ეს შემთხვევა ბუშისა და ანტი-ერაყული სამხედრო ოპერაციის გასაკრიტიკებლად გამოიყენა. "მშვიდობის პრიზის გადაცემა წინათაც გამხდარა პოლიტიკური მესიჯის გადამცემი, მაგრამ დატვირთვა ასე საგრძნობი და ღია არასდროს ყოფილა", - ნათქვამია პუბლიკაციაში.

თავად კარტერმა ჟურნალისტებთან საუბარში ანტი-ერაყული ოპერაციის შეფასებისგან თავი შეიკავა. "ახლა ამის დრო არ არის. ბოლო 22 წელი იმისთვის არ მილვაწია, რომ შემდეგ მელაპარა, რას გავაკეთებდი, ან არ გავაკეთებდი, კვლავაც პრეზიდენტი რომ ვიყო", - აღნიშნა მან.

ასეა თუ ისე, დღეს კარტერი ნობელის ლაურეატია. მან მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისთვის ზრუნვა 1977 წლიდან – თეთრ სახლში დასახლების დღიდან დაიწყო, თუმცა, უფრო გააქტიურდა ადმინისტრაციიდან წასვლის შემდეგ. სწორედ ამიტომ, ხშირად აღნიშნავენ, რომ ჯიმი კარტერი გაცილებით უკეთესი ექს-პრეზიდენტია, ვიდრე პრეზიდენტი იყო. ამას თავად ნობელის ლაურეატიც აღიარებს.


ჯიმი კარტერი
REUTERS

კემპ დევიდის მოლაპარაკებები, ცივი ომის ხანაში ადამიანის უფლებათა საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში ჩასმა, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის დიალოგის დაწყება, ბოსნიაში ცეცხლის შეწყვეტა, 2002 წელს კუბაში ვიზიტი, კარტერის ცენტრის დაარსება (ცენტრის თანამშრომლები რამდენიმე კონტინენტზე არსებული ცხელი კერების ჩაქრობაზე, ადამიანის უფლებების დაცვასა და სხვადასხვა ეპიდემიების მოსპობაზე ზრუნავენ) – აი, კონკრეტულად ის ფაქტორები, რის გამოც ნობელის ნორვეგიულმა კომისიამ აშშ-ს ექს-პრეზიდენტი სხვებზე წინ დააყენა. ნობელის ინსტიტუტის პრეს-რელიზში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ კარტერმა თავისი მოღვაწეობით იმდენი ისტორიული პრობლემის მოგვარება შეძლო, რომლებიც, ცალ-ცალკე აღებულიც, დაიმსახურებდა ნობელის მშვიდობის პრიზს.

თუმცა, ბუნებრივია, მსოფლიოში, ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გამო, მშვიდობის პრიზის ფავორიტებად სხვა კანდიდატურებს ასახელებდნენ. მათი რიცხვი დაახლოებით 156 იყო. ძირითადად გულისხმობდნენ იმ პოლიტიკოსებსა და ქვეყნების მოქმედ მმართველებს, რომლებიც მსოფლიოს ახალ ამბებს ყოველდღიურად ქმნიდნენ. მათ შორის არიან: ავღანეთის ლიდერი ჰამიდ კარზაი, აშშ-ს ექს-პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ნიუ იორკის ყოფილი მერი რუდი ჯულიანი, დემოკრატი სენატორი სემ ნანი და რესპუბლიკელი რიჩარდ ლუგარი (მათი სახელი ბირთვული და ქიმიური იარაღის ბედზე ზრუნვასთანაა დაკავშირებული), აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, პაპი იოანე პავლე მეორე და კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო. ასახელებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებსაც: ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს, ჰააგის ომის დანაშაულებათა ტრიბუნალსა და ხსნის არმიას. სხვები კი როკ-ჯგუფ U2-ს ლიდერის აფრიკულ ტურნეს იხსენებდნენ და მშვიდობის პრიზის უდავო ფავორიტად ბონოს აღიარებდნენ. აღსანიშნავია, რომ "ბიბისის" ინტერნეტ-ფორუმში ბონო ხმათა უმრავლესობას ფლობდა, მაგრამ სხვები ვერც ტროას ცხენის დამსახურებებს ივიწყებდნენ და ნობელის მშვიდობის პრიზის ლაურეატად კარგა ხნის წინ გარდაცვლილ ცხენს ასახელებდნენ. კანდიდატთა შორის იყვნენ ნიუ იორკელი მეხანძრეებიც, რომლებმაც თავი 11 სექტემბრის ტერაქტების დროს გაითქვეს... თუმცა, ფაქტია, რომ ნობელის ინსტიტუტმა ჯიმი კარტერის არჩევით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საერთაშორისო მესიჯი გაგზავნა, ვიდრე ამას ნებისმიერი ზემოთაღნიშნული კანდიდატის დაჯილდოებით მოახერხებდა.

# რა სარგებლობა მოაქვს ნობელს

იტალიელი დრამატურგის დარიო ფოსა და ჩინელ მწერალ გაო სინძიანის მსგავსად, ამერიკაში არც 2002 წლის ლიტერატურული ნობელის ლაურეატ იმრე კერტეშს იცნობდნენ. დღემდე ინგლისურ ენაზე თარგმნილი იყო მისი მხოლოდ ორი წიგნი – "ბედისწერის გარეშე" და "კადიში არდაბადებული ბავშვისთვის". თუმცა, ნობელის მოპოვების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. კერტეში უკვე დაადგა გზას ამერიკის "აღმოსაჩენად". მისი გამომცემლის ცნობით, მალე ათეულ ათასობით ტირაჟით თავიდან დაიბეჭდება კერტეშის ინგლისურ ენაზე თარგმნილი ორივე ნაწარმოები. საინტერესოა, რომ "ნობელამდე" გაყიდული იყო ამ წიგნების მხოლოდ 5 100 ეგზემპლიარი. ახლა კი, გამომცემლები ირწმუნებიან, რომ ლიტერატურის მოყვარულები სულმოუთქმელად ელიან იმრე კერტეშის გაცნობას და ამიტომაც აპირებენ ტირაჟის საგრძნობლად გაზრდას.

ნობელის გარდა, ამერიკელ მკითხველზე უდიდეს გავლენას ახდენს ოფრა უინფრის წიგნის კლუბის საუკეთესო ნაწარმოებთა სიაც. სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფს, რომ საზოგადოებაში კლუბის მიმართ გაჩენილი ნდობის გამო, სხვადასხვა წიგნის ასობით ათასობით ეგზემპლიარი იყიდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უინფრი საზოგადოებას ლიტერატურულ არჩევანს "კარნახობს". თუმცა, ეს კლუბი მხოლოდ ამერიკელ მკითხველს "სწვდება", ხოლო ნობელის ინსტიტუტის გემოვნება გადამწყვეტ გავლენას ახდენს მკითხველზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მეტიც, ნობელი უქმნის უცხოელ მწერლებს საერთაშორისო იმიჯსაც.

გავიხსენოთ, თუნდაც, ნობელის შარშანდელი ლაურეატის, ვ.ს. ნაიპოლის ამბავი. საპატიო ჯილდოს მოპოვების შემდეგ, მისი Among the Believers-ის 30-40 ათასი ეგზემპლიარი გაიყიდა. ეს მაშინ, როცა ნობელამდე სულ ათასამდე წიგნი იყო გაყიდული.

ასე მოხდა პორტუგალიელი მწერლის, ჟოზე სარამაგუს შემთხვევაშიც. ნობელით მისი დაჯილდოება ახალი რომანის "სიბრმავის" გამოსვლას დაემთხვა. ნაწარმოების საწყისი ტირაჟიც (8 ათასი ეგზემპლიარი) სწრაფად


კერტეშს ნობელის ლაურეატობა შეატყობინეს
REUTERS

ავარდა 47 ათასამდე. დღეს კი დაბეჭდილია სარამაგუს ამ რომანის 200 ათასი ეგზემპლიარი. გაო სინძიანის შემოქმედებასაც ინგლისურენოვანი მკითხველი სწორედ მწერლის ნობელით დაჯილდოების შემდეგ გაეცნო.

საბოლოო ჯამში კი, ლიტერატურული კრიტიკოსები მაინც ასკვნიან, რომ ნობელის პრიზის მოპოვება, პირველ რიგში, მწერლების რეპუტაციას ზრდის და არა მათი წიგნების ტირაჟს. მაგალითად, ნობელის მფლობელი ავტორები – ჩეხი იაროსლავ სეიფერტი, ბერძენი ოდისეუს ელიტისი და იტალიელი დარიო ფო ფართო საზოგადოებისთვის კვლავაც უცნობ მწერლებად რჩებიან, მაგრამ ლიტერატურულ წრეებში უდიდესი წარმატებით სარგებლობენ.

## ამ ზამთარს ოპერაში არ შეგვცივდება

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მაყურებელს ზამთარში გამთბარ შენობაში ეპატიჟება. ოპერის თეატრის დირექტორის ზურაბ ლომიძის თქმით, წლეულს ოპერის თეატრმა ევროკავშირის პროგრამის „ტასისის" მიერ გამოყოფილი გრანტით, გათბობის სისტემა დაამონტაჟა. სისტემა ბუნებრივ აირზეა, და როგორც ზურაბ ლომიძე ამბობს, მისი შეძენა თეატრს შედარებით იაფი უჯდება. ზამთარში თეატრს შესაძლებლობა ექნება, სცენა და სარეპეტიციო დარბაზი სათანადოდ გაათბოს.

*მედია-ნიუსი*

## ჯიბის თეატრი პრემიერისთვის ემზადება

ჯიბის თეატრის რეჟისორი ნატო გაგნიძე ახალ სპექტალზე, „ექცე-ფემინაზე" მუშაობს. სპექტაკლი თეატრის რეპერტუარში რამდენიმე წლის წინათ იყო. ამჯერად რეჟისორი მას ახლებური ინტერპრეტაციით დგამს და მასში ერთ-ერთ მთავარ როლს თავად შეასრულებს. „ექცე-ფემინის" პრემიერა კი მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება.

*მედია-ნიუსი*

## კატების მე-4 საერთაშორისო გამოფენა თბილისში

12-13 ოქტომბერს თბილისი კატების მე-4 საერთაშორისო გამოფენას უმასპინძლებს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნებიან სხვადასხვა ძვირფასი ჯიშის, მათ შორის შოტლანდიური, ბრიტანული, სპარსული კატების ნაირსახეობები: ამერიკული პეკინესი და ეგზოტიკური კატა, კატა-სფინქსი, სიამის კატები და სხვ.

გამოფენაში მონაწილეობენ სტუმრები უკრაინიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან. მნახველებს კატების დასათვალიერებლად დრო დილის 11 საათიდან საღამოს 18 საათამდე ექნებათ. მსურველებს ასევე შეეძლებათ კატების შეძენა, რომელთა ფასი 100-დან 200 დოლარამდე მერყეობს.

*კავკას-პრესი*

## კალენდარი

13 ოქტომბერი

"ყოველი თაობა შობს გმირს პოპ-ჩარტებისთვის", - უცნობია, ვის გულისხმობდა პოლ საიმონი ამ სიტყვებში, მაგრამ ფაქტია, რომ თვითონაც იყო თავისი თაობის გმირი, რომელმაც უმტკივნეულოდ დაიპყრო პოპ-ჩარტები და თაყვანისმცემელთა დიდი არმია შეიძინა. ის აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მუსიკოსად, რომელიც ინტელექტუალურ ტექსტებთან ერთად, სრულყოფილ მუსიკასაც წერს.

როცა ნიუ იორკს როკ-ენ-როლი იპყრობდა, საიმონი არტ გარფუნკელს შეხვდა. ასე დაიწყო მათი ისტორიული მუსიკალური ტანდემი. "სიჩუმის ჰანგები", "მე როკი ვარ", ფილმ "კურსდამთავრებულის" თანმხლები მუსიკა და დღემდე უდიდესი ჰიტი – სინგლი "მისის რობინსონი" – ამ ნაწარმოებებს საყოველთაო წარმატება, "გრემის" მრავალი ჯილდო და კიდევ უფრო მეტი ახალი ჰიტი მოჰყვა: Take me to the Mardi Gras,



Was a Sunny Day, 50 Ways to Leave Your Lover, "კეიპმენი", სამხრეთ აფრიკული ჟღერადობით გაჯერებული "გრეისლენდი" – საიმონის ჰიტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

დღეს მისი მუსიკის თაყვანისმცემლები საიმონის დაბადების დღეს აღნიშნავენ. მუსიკოსი 1941 წლის 13 ოქტომბერს დაიბადა.

# ჩავიცვამთ ისე, როგორც არავის აცვია

ანა კორძაია-სამადაშვილი

*ბუტიკი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს "პატარა მაღაზიას, რომელშიც მოდური ტანსაცმელი და აქსესუარები იყიდება".*

ვაკეში, მრგვალ ბაღთან, დიდი სუპერმარკეტის თავზე, რომელსაც უცნაური სახელი ჰქვია – "იბისი", ტანსაცმლის ახალი მაღაზია გაიხსნა. მას შეგვიძლია, მოდელიორის სალონიც ვუწოდოთ, ბუტიკიც – ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ საკიდებზე ყველა ქალისათვის სასურველ ნივთებს აღმოაჩენთ, თან საკმაოდ "ქრისტიანულ" ფასად. გამოფენილი ტანსაცმლის შემქმნელი მოდელიორი გვანცა ჯანაშიაა, რომლის სახელი 1995 წელს სასტუმრო "მეტეხში" გამართული, ფირმა "კენტის" მიერ დაფინანსებული პირველი ჩვენების შემდეგ ყველამ იცის, ვისაც თბილისში მოდის სამყაროსთან რამე შეხება აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ გვანცას ბუტიკის გახსნასთან დაკავშირებით დიდი ამბავი არ აუტეხავს, მისთვის ამ დღის მისალოცად მაინც


გვანცა ჯანაშიას ბუტიკის პირველი სტუმრები

უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ჩვენ ეს ინფორმაცია ქალბატონ გვანცას დიდი ხნის "თანამებრძოლმა", პროფესიონალმა მოდელმა, კრისტი ყიფშიძემ მოგვაწოდა, და, ფაქტობრივად, ჩვენი მასპინძელიც ის იყო.

გახსნის დღესთან დაკავშირებით ბუტიკში ფოტოგამოფენა მოეწყო. სურათებზე მშვენიერი ქალები, ძირითადად, გვანცა ჯანაშიას მიერ შექმნილ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი. როცა თავად მოდელიორს ვკითხე მისი სადღესასწაულო, მაგრამ მოკრძალებული და ელეგანტური სამოსის ავტორის შესახებ, ღიმილით მომიგო, მე გახლავართო. ალბათ, უკეთეს რეკლამას ვერავინ გაუწევდა – ჩინებულად იყო ჩაცმული.

გვანცა ჯანაშიას ყოველი ტანსაცმლის ერთეული ერთადერთი და განუმეორებელია. მოდელიორი ექვს მეტრზე დიდ ნაჭერს არასოდეს ყიდულობს და მისი მიზანი არ არის ტანსაცმლის სერიული გამოშვება. ასე რომ, ყველას, ვისაც სურს ისე ჩაიცვას, როგორც სხვას არავის აცვია, შეუძლია მრგვალი ბაღისკენ აიღოს გეზი – სამოსი, რომელსაც გვანცა ჯანაშიას საფირმო ნიშანი აკრავს, იმედს არავის გაუცრუებს.

შენობიდან გამოსულები კვლავ გარეთ მდგომ საზოგადოებას შევუერთდით, რომელიც (ცოდვა გამხელილი ჯობია) ისევე, როგორც ჩვენ, არ იმჩნევდა, მაგრამ მოუთმენლად ელოდა გამასპინძლებას – სუფრა მეტისმეტად მადისაღმძვრელად გამოიყურებოდა. აქ კვლავ კრისტი ყიფშიძემ აიღო საკუთარ თავზე ჩვენთვის მოდელიორების წარდგენის საქმე. მან ორი გიორგი გაგვაცნო, "გიორგები", სულ ახალგაზრდა კაცები, ფანცულაია და ამირეჯიბი. აღმოჩნდა, რომ ისინი ამ თვის ბოლოსთვის გრანდიოზულ შოუს გეგმავენ, სადაც ტანსაცმლის ასამდე მოდელი იქნება წარმოდგენილი. ზუსტი დრო და ადგილი ჯერ არ გაგვიმხილეს, ამიტომ დანამდვილებით მეც ვერაფერს გეტყვით.

# ნატურმორტი - სანამ დაიხატება და შეიჭმება

ანა კორძაია-სამადაშვილი

*პარასკევს კლუბ 22-ში, თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად, გუგა კოტეტიშვილმა გამოფენა გახსნა. მისი დასრულებული სახით ნახვა, დიდი-დიდი, ათი წუთის განმავლობაში თუ შეიძლებოდა, რადგან სტუმრებმა, იუბილარის მეგობრებმა და უბრალოდ მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებმა, უმალ აუღეს ალღო და ექსპონატებს შეესივნენ...*

მასპინძელი მისთვის უჩვეულოდ გამოიყურებოდა – კოსტუმში პირველად ვნახე (უხდება კია). დარბაზიც არაფრით ჰგავდა არცერთ ექსპოზიციას, რომელიც მანამდე მენახა. ერთადერთი ფერწერული ტილო ნიკოლოზ შენგელაიას მიერ შესრულებული გუგას პორტრეტი იყო. ის საკმაოდ გვიან შევნიშნე, ყველაფერი დანარჩენი იმდენად ფერადოვანი იყო, რომ კარგა ხანს გაოცებული ვაცეცებდი თვალებს: მსხლისა და კარალიოკის თეჯირი, კედლებზე, ჩარჩოებში – თუ ჩარჩოებზე – ჩურჩხელები, ნახევრადგათლილი ფორთოხალი, კედლებთან – ძველისძველი სასწორები (გუგა სასწორი გახლავთ), უცნაური კონფიგურაციისა, დიდი და მძიმე, რაღაცნაირ რიდს რომ იწვევს, და ყველგან ხილი, ხილი, ხილი. ნატურმორტები, ოღონდ მკვდარი კი არა, ცოცხალი.


ცოცხალი ნატურმორტი

თავად გუგამ თქვა, ჩემთვის ჩემი დაბადების დღე ყოველთვის კარალიოკთან იყო დაკავშირებულიო. მიუხედავად პირადად ჩემი დიდი ანტიპატიისა ამ ხილის მიმართ, მის სილამაზეს ნამდვილად ვერ უარვყოფ, და გუგასი კარგად მესმის.

მახსოვს, ალბერტ დილბარიანმა დასახატად დალაგებული ხილი ნავთში ამოავლო, რომ მრავალრიცხოვან სტუმრებს პირში არ გაექანებინათ და რუდუნებით დაწყობილი ნატურმორტები არ გაეოხრებინათ ხოლმე. მძიმე გამოცდა იყო. გუგასთან კი ამ ტანჯვას გადავრჩით, რადგან ხილი მხოლოდ ესთეტური სიამოვნებისთვის არ იყო განკუთვნილი, კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა: გუგამ სადღესასწაულო სუფრა ასე გაშალა.

გუგას ჩანაფიქრის თანახმად, ღვინო უშველებელი სამოვარიდან უნდა ჩამოესხათ, რომლის თავზეც არყით სავსე ფაიფურის ჩაიდანი იყო წამოსკუპებული. მაგრამ სამოვარმა ვერ ივარგა – ღვინომ გაჟონა, და ამიტომ სასმელს დიდი მინის ჭურჭლიდან ასხამდნენ ხაპით (თუ ხრიკათი, როგორც გაგიხარდებათ), რომელიც თავდაპირველად კაკაბაძისეული ნატურმორტის შესაქმნელად იყო მოწოდებული. მაგრამ ამ ცვლილებას გუგას გარდა გული არავისთვის დაუწყვეტია: მეგობრის დაბადების დღე, ლამაზი დარბაზი, ჩინებული ღვინო, დიდი თავი გუდის ყველი და შემოდგომის უამრავი ხილი – უკეთესი რა უნდა ინატროს კაცმა...

## ბინები

### იყიდება

იყიდება ლეონიძის (კიროვის) ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში", III სართულზე. 99-80-71

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ლოჯიით ფალიაშვილის კუთხეში.
ფასი 40 000
ტელ: 893 311772

სასწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი ბინა მიშენებით. თემქის უნივერსამთან. საწყისი ფასი 5600. 60 05 66, 8(93) 37 60 05

იყიდება ბახტრიონის ქუჩის დასაწყისში 3(9) არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 120კვ.მ. ზალა 28, საძინებლები 14-14კვ.მ., ლოჯია - 32კვ.მ. საწყისი ფასი 28 000$. ტელ: 37-59-80, 8(77) 42 13 24.

იყიდება ჩეხური 3-ოთახიანი კუთხის ბინა ტელეფონით, ბ/აირით, სართულზე მოზრდილი საკუჭნაოთი, 8(9), ძველი რემონტით დიდუბეში, პანთეონის მოპირდაპირე მხარეს. ს/ფასი 20 000 $. 35 25 87 (საღამოს 7 სთ-ის შემდეგ. იკითხეთ ჯაბა)

სასწრაფოდ იყიდება 220 კვ/მ 5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 10(12), 3 დიდი აივნით. სახლში ორი ლიფტია. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. მის: ფანასკერტელის ქ. XI კორპუსი, ტელ: 38-41-15, 899 94 44 84 (თინა ან რომა).

იყიდება ან ქირავდება კერძო სახლი დოლიძის ქუჩაზე დიდი ხეხილიანი ეზოთი. 33 22 54

იყიდება 3-ოთხიანი, არასტანდარტული, დუპლექსის ტიპის, მაღალჭერიანი, კოოპერატიული ბინა. 4 სართულიანი სახლის 3-$ სართული. მე-სართულის დაშენების ნებართვით. 3 აივნით, 2 სველი ცერტილით, საგარაჟე ადგილით. საწყისი ფასი 23 000$.

იყიდება 3-ოთახიანი სუფთა ბინა დიდი ლოჯიით მაღალ ბელეტაჟზე ვაკეში, წყნეთის ქუჩა № 1. 23 12 22

იყიდება 3ოთახიანი სუფთა ბინა გლდანში, ეკლესიასთან. 30 22 36

იყიდება 5-ოთახიანი ბინა ვარკეთილში. ფასი 5 500. 8(77) 74 29 35, 79 26 47 მაკა

სასწრაფოდ იყიდება კაპიტალურად გარემონტებული 3-ოთახიანი, გადაკეთებული 4-იანად დ/მასივში. 53 01 05, 8(99) 23 20 29

იყიდება გარემონტებული 2-ოთახიანი დიდ დიღომში. პეტრიწის ქუჩა № 13. V სართული. 8 500-ად. 53 48 92

იყიდება 2-ოთახიანი სარემონტო ბინა დიღომში. 8(8). 9000-ად. 95 33 48

იყიდება 2-სართულიანი სახლი მეტრო ავლაბართან. ს/ფასი 23 000. 95 33 48

იყიდება 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა. ნუცუბიძის პლატო, V მკრ. 12 000-ად. 31 44 52

იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში, 8(9). მეტროსთან ახლოს. 16 000-ად. 52 73 72

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა. ს/ფართი 60 კვ.მ. 3(5). სამგორის რაიონში. 76 87 02

იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული კუთხის ბინა საბჭოს ქუჩაზე. 1(2). გამოდგება საოფისედ. 95 75 11

იყიდება 3-ოთახიანი მაღალჭერიანი (5 მ.) ბინა კოლმეურნეობის მოედანზე, პირიმზესთან. 93 10 22

იყიდება 2-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ნუცუბიძის პლატოზე, IV მკრ. 6000-ად. 32 05 48

სასწრაფოდ და იაფად იყიდება 3-ოთახიანი ბინა დიდი დიღმის IV მკრ. 10(10). 53 28 75

იყიდება საკუთარი სახლი მაღალ ბელეტაჟზე, 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, 50 კვ.მ. სარდაფით, მესხური პურის საცხობით და მაღაზიით. შეიძლება განვადებაც. მუხრანის ქ. № 25. 61 86 93 ნინო

იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა აივნით, ტელეფონით, სარდაფით. 37 17 83

იყიდება 3-ოთახიანი (მე-4 კაბინეტი) ბინა მუხიანის IV მკრ-ში, მე-3 სართულზე, ტელეფონით, ჩაშენებული კარადებით. სველი წერტილები კაფელშია. 63 63 27

## მიწის ნაკვეთები

იყიდება სააგარაკე ნაკვეთი მსხმოიარე ხეხილით, სასმელი წყალი და დენი შეყვანილია. გლდანში. 57 15 77

სასწარაფოდ იყიდება 1600 კვ.მ. ნაკვეთი დიდი დიღმის ტერიტორიაზე, მთავარი სამმართველოს უკან, მშენებარე უბანში, ფასი 1 კვ/მ – 8. 52-98-04.

სასწრაფოდ იყიდება 1200კვ.მ. ნაკვეთი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის პირდაპირ. მშენებარე უბანში, საწყისი ფასი 8500. 30-90-16.

იყიდება 40 კვ.მ.+15 კვ.მ. კომერციული ფართი ვერაზე, რომელიც მუშაობდა მაღაზიად. ს/ფასი 36 000. 8(99) 51 58 54

იყიდება 650 კვ.მ. ნაკვეთი მუხათწყაროში გაზეთ "სოფლის ცხოვრების" აგარაკებზე. ტყეში. გაჭრილი არის ჭა. ფასი შეთანხმებით. 22 25 76

## კომერციული ფართი

ქირავდება საოფისედ 50 კვ.მ. 2 ოთახი 300 $-ად. რევაზ ლაღიძის № 3. ოპერის უკან. 93 30 80, 99 62 36

იყიდება რესტორანი რუსთაველზე თავისი აღჭურვილობით. 79 90 48

ქირავდება ფართი საოფისედ ან სხვა საქმიანობისთვის ძველ უნივერმაღთან. 95 37 43 გია ან დათო

## ბინები

### ქირა

ქირავდება რუსთაველზე 2(4) სართულზე 240 კვ.მ. ბინა. გაქირავება შეიძლება ორ ნაწილადაც. არის ორი დამოუკიდებელი შესასვლელი. 98 67 11 (მაია, თამაზი)

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ქირავდება 1 ოთახი საერთო პირობებით 1 ან 2 სტუდენტ გოგონაზე 100 ლარად. 52 47 75

ქირავდება 3-ოთახიანი ბინა ვაკეში, შროშის ქუჩაზე. 2-ადგილიანი ავტოფარეხით. 93 23 82

ქირავდება 2-სართულიანი სახლის II სართულზე 3,5-ოთახიანი ბინა ფილარმონიასთან, გარემონტებული. 8(99) 97 64 48

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში (იხ. ფოტო). ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

ქირავდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა ავეჯით მეტრო ავლაბართან. ფასი 100. 93 17 02

ქირავდება 1 ან 2 გოგონაზე ორი ოთახი ცალკე შესასვლელით, სამზარეულოთი, ავეჯით, ტელეფონით. 37 73 98

## მანქანები

იყიდება იაპონური ავტომობილი ტოიოტა-კარონა, 5-სიჩქარიანი, ახალი ტექ.დათვალიერებით. 1982 წლის. ფასი 300 $. 74 22 70

იყიდება ავტომანქანა "ზუტკა-მოსკვიჩი". ფასი შეთანხმებით. 92 15 71

იყიდება ოპელ-ვექტრა 1990 წლის. გიდრავლიკით, ლუკით, ABC ცენტრ. გასაღებით. 2600 $. 33 54 51 მიშა

იყიდება "BMW-530" 1990 წლის გამოშვება. 3000 $-ად. 8(77) 44 89 28

## სწავლება

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ფასი 15 $.
ტელ: 68 36 49

ვამეცადინებ მოსწავლეებს სკოლის საგნებსა და მუსიკაში. შემიძია სკოლიდან გამოყვანაც. 32 65 69 ნანა.

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ფასი 15 $. 68 36 49

მოვამზადებ გერმანულ ენაში. 96 76 46

მოვამზადებ ფრანგულში საფუძვლიანად. 63 37 77

ნებისმიერი ასაკის მსურველთა მომზადება გერმანულ, ესპანურ, რუსულ ენებში. ინდივიდუალურად, უახლესი ლიტერატურით. ქართულ და რუსულ ენებზე. 39 50 31, 8(93) 30 93 20

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ინგლისურში. 77 23 49

ვამზადებ ქართულ ლიტერატურასა და ფრანგულში. 33 12 05

მოვამზადებ ინგლისურში კვირაში 3-ჯერ. თვეში 15 ლარი. 72 28 57

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს გერმანულში ბინაზე მისვლით. 75 65 14

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურსა და ფრანგულში. 69 25 75

მოვამზადებ გერმანულში. 96 76 46

მოვამზადებ ბავშვებს ინგლისურში, კვირაში 3-ჯერ. ბინაზე მისვლით. 75 65 14 ნათია

მოვამზადებ ბავშვებს ინგლისურში, კვირაში 3-ჯერ. ბინაზე მისვლით. 75 65 14 ნათია

ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში. 23 01 84

მოვამზადებ აბიტურიენტებს ინგლისურში. 30 63 26

მოვამზადებ I-დან VIII კლასამდე მოსწავლეებს ყველა საგანში. ფასი 50 ლარი. 61 84 93

ვამზადებ ბავშვებს ფორტეპიანოში ბინაზე მისვლით. 53 24 60

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

ვამზადებ მათემატიკასა და ფიზიკაში ქართულ და რუსულ ენებზე. 31 47 88




## სხვადასხვა

იყიდება ჭალი საუკეთესო ხარისხის ჩეხური ბროლის 5 სართულიანი "ყურძნის მტევნები". ფასი 450 ლარი. ტელ: 30-26-25

იყიდება კომპიუტერი "SONY-1" დისკებით. 78 18 31, 8(99) 17 87 79

იყიდება კეთილმოწყობილი ავტოფარეხი. კანდელაკის № 10. 38 04 59

ვამზადებ იტალიურ კერძებს. ვიმუშავებ სასტუმროში ან უცხოელებთან. 79 65 33

იყიდება ჰოლანდიური ყვავილი "მონსტერა" (დაჭრილი ფოთლებით). 39 78 68

დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს, კარადებს ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში. 22 82 26, 8(99) 51 28 44

იყიდება სტომატოლოგიური კაბინეტი. მთლიანი კომპლექტი. 22 59 55

იყიდება პიანინო "მენზელი". 22 59 55

- პარკეტი გემბანური;
- პარკეტის გერმანული აქსესუარები.
ტელ: 333560
8(77) 739129

მოვუვლი ბავშვს, მოხუცს, ან დავეხმარები ოჯახში. 75 10 16

იყიდება გერმანული "გორკა". ფასი შეთანხმებით. 22 66 52

იყიდება სამეცნიერო ლიტერატურა ფიზიკასა და მათემატიკაში. 95 75 11, 96 30 15

იყიდება მაცივარი "ზილმასკვა". 53 06 68

ვიმუშავებ მშენებლობაზე ან ავტოგასამართ სადგურზე. 32 05 48

იყიდება დიდი ბიბლიოთეკა ოჯახიდან. 22 59 55

იყიდება "ერიქსონ-688" დამტენით და რადიო ყურსასმენით. ფასი 50 ლარი. 8(99) 53 26 05

ვიძლევი სრულყოფილ ცოდნას მათემატიკაში მაღალი ნიშნის გარანტიით. 30 29 97

დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს, კარადებს ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში. 22 82 26, 8(99) 51 28 44

ვისესხებ. 92 09 63

შეშა ბინაზე მიტანით. 61 52 55

იყიდება "T 10" 2 თვის, 70 ლარად. 8(93) 35 77 56

იყიდება გერმანული წარმოების ველოტრენაჟორი. ფასი 150. 76 73 51, 8(99) 55 85 73

## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
მიუზიკლი "რქიანეთი", წარმოადგენს ანსამბლი "ივერია"
დას: 19:00, ფასი 5-8 ლარი

### თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
დავით თორაძე "გორდა", ბალეტი სამ მოქმედებად
დირიჟორი რევაზ ტაკიძე
დას: 12:00 სთ

**რუსთაველის თეატრი**
"შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ, ფასი 1-5 ლარი

**მარჯანიშვილის თეატრი**
"მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია", რეჟ: დათო დოიაშვილი, მთავარ როლებში: გურანდა გაბუნია, ოთარ მეღვინეთუხუცესი
დას: 18:00 სთ; ფასი 3,6 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"პროვოკაცია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
"სებია", რეჟ. მანანა ბერიკაშვილი
დას: 18:00 სთ ფასი 3 ლარი, სტუდენტებისათვის 1 ლარი

**მარიონეტების თეატრი**
"ჩემი გაზაფხულის შემოდგომა", რეჟ. რეზო გაბრიაძე
დას: 19:00; ფასი 5-10 ლარი

**გრიბოედოვის თეატრი**
"ვნებანი" რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 18:00, ფასი 1-3 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**TMS**
ია გიგოშვილის პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
პიტერ ფორდის ფოტოგამოფენა
დავით მონავარდისაშვილის პერსონალური გამოფენა "სიბრტყესა და ფორმას შორის"

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
თანამედროვე ქართველი მხატვრები; ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, "მხატვრებთან ერთად", ეძღვნება სამხატვრო აკადემიის 80 წლის იუბილეს

**N გალერეა**
შვეიცარელი და ქართველი მხატვრების ერთობლივი გამოფენა; "ლანდშაფტი და ტერიტორია"

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ასტერიქსი და ობელიქსი", მთავარ როლებში: ჟერარ დეპარდიე, მონიკა ბელუჩი
დას: 14:00; 18:00 სთ; ფასი: 5,6, ლარი
"ცეცხლის ძალა", რეჟ. რობ ბაუმენი
დას: 16:00; 20:00 სთ, ფასი 6,7 ლარი
"ესაუბრე მას", რეჟ. პედრო ალმოდოვარი
დას: 22:00 სთ, ფასი: 6,7 ლარი

**„რუსთაველი„**
"დიდი გამყინვარება", საბავშვო ანიმაციური ფილმი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"განსხვავებული აზრი" რეჟ. სტივენ სპილბერგი, მთავარ როლში ტომ კრუზი
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სამი იქსი", რეჟ. რობ კოენი
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი







# „ვისწავლი, ვიცეკვებ, ვიმოგზაურებ"

თამთა ვაშაკიძე
ანა კორძაია-სამადაშვილი

*ფოტომოდელობა, ალბათ, მხოლოდ პროფესია კი არა, ცხოვრების წესიცაა: ლამაზი, მომხიბვლელი, ყველასთვის სასურველი ქალი მუდამ ასეთი უნდა იყოს, არამარტო ჟურნალის გარეკანებსა თუ ეკრანზე, არამედ სამზარეულოში თუ ტაქსის გაჩერებაზეც. 15 წლის თამთა ვაშაკიძემ, ამ კვირის ფოტოკონკურსის გამარჯვებულმა, შესანიშნავად იცის, თუ რამდენად რთული პროფესია აირჩია. ეს ცოდნა მხოლოდ თეორიული როდია, ახალგაზრდა ფოტომოდელს უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.*

თამთა 158-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა. შემდეგ ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე უნდა სწავლის გაგრძელება, რადგან, მისი თქმით, ფოტომოდელობა კი მისი საოცნებო და, საერთოდ, შესანიშნავი საქმეა, მაგრამ ეს მისი ცხოვრების ერთადერთი ინტერესი არაა – უნდა, რომ მომავალში ისწავლოს, იცეკვოს და იმოგზაუროს კიდეც. მოგზაურობა, უცხო ქვეყნები, "სხვა" ადამიანები, ზღვები და მთები ჩვენი საუბრის ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო. თამთა საინტერესო და ცოცხალი მოსაუბრეა და ვინ იცის, იქნებ მას შემდეგ, რაც სახელმოხვეჭილი ფოტომოდელი დადგება, მსოფლიოს სხვა ცნობილი მოდელების მსგავსად, ისიც გახდეს საკუთარი ტელეგადაცემის წამყვანი. ვის არ გაუხარდებოდა ეკრანის მეშვეობით სახლში ნორჩი, მოღიმარი, ლამაზი და ხალისიანი ქალბატონის შემოსვლა?!

როგორც საუბარში გაირკვა, თამთა მოცეკვავეა, უკვე 10 წელია, რაც ცეკვავს. ამას, წესით, უმალვე უნდა მივმხვდარიყავი: სიარულზეც ეტყობა, იმაზეც, როგორ ზის – გამართული, ლაღი. თავიდან მშობლებმა საბალეტო სასწავლებელში მიაბარეს, შემდეგ ხუთი წელი სუხიშვილების სტუდიაში, "XXI საუკუნეში" ცეკვავდა, ორი დიპლომიცა აქვს. თუკი დაინტერესდით, თუ როგორია ჩვენი ნახევარფინალისტი სცენაზე, "მამულის" გამოსვლას უნდა დაესწროთ – ამჟამად ამ ჯგუფში ცეკვავს და ხალისით ყვება მრავალ კურიოზულ ამბავს, რომელიც გამოსვლების დროს თავს გადახდენია.

მოცეკვავისთვის "იმიჯ-ცენტრის" ყოველი მოდელისათვის აუცილებელი ვარჯიში, წესით, დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ თამთამ მიამბო, რომ იმის შემდეგ, რაც მთელი დღე სვანურ ცეკვაზე მუშაობდა, ტაიფუს ძალა აღარ ჰქონდა, და ძალიან მორიდებია თავისი მასწავლებლის. საერთოდ, ყოველი პედაგოგის შესახებ თამთა დიდი პატივისცემით ლაპარაკობს. მან მიამბო, რომ მრავალი შემოთავაზების მიუხედავად – თამთას ქუჩაშიც კი აჩერებენ, რაც, თუ წინა კვირის განმავლობაში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოებს გადახედავთ და მეც მერწმუნებით, სულ არაა გასაოცარი, - ის "იმიჯ-ცენტრს" არცერთ სხვა სტუდიაში არ გაცვლის. აქ ის ყველაფრით კმაყოფილია: პედაგოგებით (სრული კურსის დასახურად ცხრა საგნის ზედმიწევნით ცოდნაა საჭირო), სამუშაო პირობებით, "იმიჯ-ცენტრის" ხელმძღვანელის მოდელების მიმართ დამოკიდებულებით.

"იმიჯ-ცენტრის" სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ ბანკეტი გაიმართა, რომელზეც თამთამ წარმატებით წარმოაჩინა თავი. მას უმალვე შესთავაზეს თანამშრომლობა, თამთამ სამწლიან კონტრაქტს ხელი მოაწერა და პირველმა წარმატებამაც არ დაახანა – ის გაზეთ "24 საათისა" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრის" მიერ გამოცხადებული სილამაზის კონკუსის, "მის ფოტომოდელი 2002"-ის პირველი ტურის გამარჯვებული გახდა.

პასუხად კითხვაზე, ისურვებდა თუ არა კარიერის საზღვარგარეთ გაკეთებას და, საერთოდ, რა აზრისა იქნებოდა სხვა ქვეყანაში მოღვაწეობაზე, თამთამ მომხიბვლელი, ბავშვური უშუალობით მომახსენა, რა ვიცი, როგორც ქალბატონი ია იტყვისო.

დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონი ია, ისევე, როგორც მრავალი სხვა ბატონი და ქალბატონი, რომელიც ცხოვრებაში შეხვდება, აუცილებლად შეუწყობს ხელს თამთა ვაშაკიძის პროფესიულ წინსვლას – ჩვენი რჩეული მოდელი ამას ნამდვილად იმსახურებს, არამარტო მომხიბვლელი გარეგნობის, არამედ სამყაროს მიმართ ასეთი ღია დამოკიდებულების გამოც.

## TV პროგრამა 13 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "ნიკიტა"
11.50 ველური ბუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.10 იქს მუტანტები
18.00, 00.40 კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 მონტელგანო
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "მუშკეტერი" 8 77 45-79-25 სტივენ რი, კატრინ დენევი, "ჰარლემის ღამეები" 8 77 45-79-26 ედი მერფი, რიჩარდ რაიორი, "დროის მანქანა" 8 77 45-79-27 გაი პირსი, სამანტა მამბა
00.50 მხ.ფ. "მებრძოლთა კლუბი" მთ. როლებში ბრედ პიტი, ედინორტონი
03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 "მოამბე"
08.15 მხ. ფილმი "ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით"
09.40 "ცირკი"
10.00 დილის პაემანი
11.05 "დიდი დასვენება"
11.35 "მოგზაურობა სასიტყვეთში"
12.05 "სპა"
12.35 ჯაზის საღამო
13.05 მოსკოვი-თბილისი
13.35 დოკ. სერიალი "ტექნოპოლისი"
14.25 "არათბილისური ამბები"
14.55 რაგბიში ერთა თასის გათამაშების მატჩი: საქართველო - რუსეთი
16.45 "საკვირაო გამოფენა"
17.00 "მოდი ვიცეკვოთ"
17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი"
17.40 დოკ. სერიალი "ჩვენი სახლი"
18.00 "ტაიმ-აუტი"
18.20 "სახსოვარი"
18.55 "ოქროს ვექტორი"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 "ამგოგენ"
21.25 "მუს. ოქტაგონი"
22.10 ტელესერიალი "ფორსაიტების საგა"
22.50 "ჩემი მშვენიერი ლედი"
23.10 ქართ. მხ. ფილმი "წისქვილი ქალაქის გარეუბანში"
00.35 "ტაიმ-აუტი"
00.45 მხ. ფილმი "ჩემი მტრის მტერი"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.30 "მადლიანი ცნობა"
09.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
10.00 "ტოროლა"
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "კომედია" მხ.ფ. "ქალღი ლას-ვეგასიდან"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "შურისმაძიებელი".
01.40 ღამურა "სიცოცხლე მშვენიერია".
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 დიზაინი
19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 მშვიდობით, მე-20-ე საუკუნევ
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "ჩემი სისულელის ისტორია"

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები ბიბლიაზე
19.00 მულტფილმი
20.00 იქ სადაც სიყვარულია
20.20 თავისუფალი მიკროფონი
20.40 მოგზაურობა ბავშვობაში
22.00 "იდენ-ტვ"
22.30 "ევროპა და ევროპელები"
23.30 მსოფლიო სპორტი
00.30 მხ. ფილმი "უსაზღვრო უკანონობა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.10, 21.55, 00.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "სასაცილო ლედი"
10.20 მხ.ფ. "შანხაის ტრიადა".
20.00 მხ.ფ. "ბიჭები სამოთხიდან"
22.30 მხ.ფ. "ღმერთი დიდია, მე პატარა"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდ. მხ. ფილმიილმი
14.30 მხ. ფილმი "რაშია საქმე დოკ"
16.00 მხ. ფილმი "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"
17.30 მხ. ფილმიილმი "იურული პერიოდის პარკი 2"
19.30 ჯაზ-პარნასი
20.30, 00.00 "დღეს"
21.00 მხ. ფილმი "ვარსკვლავური კარიბჭე"
22.30 მხ. ფილმი "მემკვიდრეობა"
00.20 მხ. ფილმი "9 1-2 კვირა"

### მეცხრე არხი

09.00 "დღის ამბები"
09.20, 21.00 მუსიკა
09.30 მულტფილმი "ალექსი" 22-ე სერია
10.00, 15.00 "დილა"
11.45 "ევროპის სტადიონებზე"
12.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
12.45 საუბრები სტუდიაში
13.40 მულტფილმი "უბილეთონი ნოეს კიდობანზე"
16.45 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია"
17.30 ქართ. მხ. ფილმი "სამკაული სატრფოსათვის"
19.00 მაცაცერა
19.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 დოკ. ფილმი "ივ სენ ლორანი"
21.10 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია"
22.00 მხ. ფილმი "ქვრივი სან-პერის კუნძულიდან"
00.00 "ქართული ხმები სცენასა და სცენის მიღმა"
00.50 მხ. ფილმი "ადამიანი ფარვანა"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მულტსერიალი "ტომი და ჯერი"
10.10 სათავგადასავლო ფილმი "ბეთჰოვენი-3"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "სამი მამაკაცი და პატარა ლედი"
13.55 თრილერი "რისკზე წასვლით გაიმარჯვებ"
16.15 მულტფილმი "ჯადოსნური ქვეყანა"
17.20 კომედია "ვეფხვების მომთვინიერებელი"
19.20 ქართული მხატვრული ფილმი "გიორგი სააკაძე"
22.00, 00.00 "დღეს"
22.30 Новости в воскресенье
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 Новости в воскресенье
01.00 მელოდრამა "არასოდეს არ ტირის ჯარისკაცის ქალიშვილი"
03.30 მხატვრული ფილმი "იდუმალების საფარქვეშ"

### VII არხი

09.30 ფორმულა-1. იაპონიის გრან-პრი.
18.00, 19.30, 01.30 ანონსი
18.20 "ლა-ლა-ლა"
19.00 "აჩიკუდა"
19.30 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
19.50 "ავტოტრეკინგი"
20.35 "კინოკლუბი" - "უკანასკნელი მეტრო".
22.40 "სახლიდან გაუსვლელად"
23.05 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
23.40 "სახლიდან გაუსვლელად"
00.15 "კინოკლუბი" - "დრაკონის გული"
01.55 "სახლიდან გაუსვლელად"
02.25 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

08.00 Новости
08.10 Мультфильм
08.30 Утренняя звезда
09.20 Служу России!
09.45 Дисней-клуб
10.10 Дог-шоу 11.00. 15.00, 19.00 Новости
11.10 "Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 Властелин вкуса
12.50 Детектив "БЕЗ ПРАВА НА ОШИБКУ"
14.30 Дисней-клуб
15.15 Умницы и умники
15.40 "Большие родители". С. Образцов
16.10 Сериал "Знатоки". "БУМЕРАНГ", 2-я с.
17.55 Док.сериал "Живая природа"
19.00 Времена
20.05 Праздничный концерт
21.25 Супербоевик "ГОДЗИЛЛА"
0.00 "Фабрика звезд". Премьера
01.20 Триллер "МИШЕНЬ"

### РТР

07.20 фильм "ТРИ ТОЛСТЯКА"
08.45 "Дракоша и компания". Детский сериал.
09.10 "Русское лото".
10.00 Всероссийская лотерея "ТВ Бинго шоу".
10.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ-МОСКВА. НЕДЕЛЯ В ГОРОДЕ.
11.15 "Утренняя почта".
11.50 "Городок". Дайджест.
12.20 Комедия "БОЛЬШИЕ КАНИКУЛЫ"
14.10 "Парламентский час".
15.00 ВЕСТИ.
15.20 "Вокруг света".
16.15 "Диалоги о животных".
17.05 "Два рояля".
18.05 "Комната смеха".
19.10 х.ф."ГОЛЫЙ ПИСТОЛЕТ 2 1/2. ЗАПАХ СТРАХА"
20.50 "В Городке".
21.00 ВЕСТИ НЕДЕЛИ.
22.10 "Специальный корреспондент".
22.35 Иосиф Кобзон "Лучшие песни".
01.30 Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1". Гран-при Японии.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"




წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.



იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში